2010 წელი, 27 მაისი - 2 ივნისი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლება

№19 (493) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ირაკლი ევრიჯიანი - 60

„გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის
გვერდი 3

საბაკო - მშვიდობის ელჩი
გვერდი 4

საგანმანათლებლო კერები თბილისი
გვერდი 5

Памяти Софьи Михайловны Меликсетовой
გვერდი 6

შეკრებები პორტრეტისთვის
გვერდი 8-9

ფოლკლორის წრით დაწყებული ისტორია
გვერდი 11

ძვირფასო მასწავლებლებო, ესტუმრეთ „ახალი განათლების“ ვებგვერდს
www.axaliganatleba.ge და მიიღეთ მონაწილეობა გამოკითხვაში

C M Y K

პედაგოგიური პრობლემა – მოზარდებში კრიტიკული აზროვნების განვითარება

სარეფორმო დოკუმენტებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობას, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. მოსწავლეებში კრიტიკული (დამოუკიდებელი) აზროვნების განვითარების პრობლემა ახალი არ არის, მას შემდეგ არსებობს, რაც სწავლებამ და აღზრდამ სოციალური შინაარსი შეიძინა, მაგრამ, ბუნებრივია, ამ პრობლემისადმი მიდგომები იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რა საგანმანათლებლო კონცეფციები ედო საფუძვლად სკოლის საქმიანობას.

მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარების აუცილებლობაში ეჭვი არავის შეაქვს, მაგრამ ყოველთვის სწორად როდია გაგებული ის, თუ რას ეფუძნება კრიტიკული აზროვნება და როგორია მისი განვითარების ხელშეწყობის საშუალებანი.

თანამედროვე ფსიქოლოგიურ თეორიებში მიჩნეულია, რომ კრიტიკული აზროვნება ეფუძნება ადამიანის მორალურ განვითარებას, მორალურ განვითარებაში კი სამი დონე გამოიყოფა: პრეკონვენციური, კონვენციური და პოსტკონვენციური. ყოველი დონე ორი სტადიისაგან შედგება და განსხვავებული მორალური აზროვნებითა და მსჯელობით ხასიათდება.

დამოუკიდებელი (ანუ კრიტიკული) აზროვნება სრულყოფილი ხდება მორალური განვითარების მესამე – პოსტკონვენციურ დონეზე და სრულყოფილი პიროვნებისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ამ დონეზე მოაზროვნე ადამიანები ხელმძღვანელობენ საკუთარი აბსტრაქტული პრინციპებით სწორი და არასწორი საქციელის შეფასებისას. როგორც მორალური, ისე მასზე დამოკიდებული კრიტიკული აზროვნების განვითარების სრულყოფილებას პიროვნება სასკოლო ასაკის დასრულების შემდეგ აღწევს, მაგრამ თუ ამას საფუძველი გარდატეხის ასაკის დასრულებისას არ ჩაეყარა, პიროვნული განვითარების შემდგომი წარმატება სათუო გახდება.

სწორედ ამიტომ, აუცილებელია, სასკოლო სწავლებაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება კრიტიკული აზროვნების განვითარება გახდეს. საამისოდ ნებისმიერი სასწავლო დისციპლინა იძლევა მეტ-ნაკლებ საშუალებას, მაგრამ პედაგოგიურად მიზანშეწონილი პირობები მაინც ლიტერატურის სწავლების პროცესში იქმნება.

ლიტერატურის სასკოლო კურსის სწავლებას, ობიექტურად, ძირითადად აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს. მართალია, არც შემეცნებით ფუნქციასაა მოკლებული, მაგრამ უმთავრესი ამოცანა მაინც გარკვეული თვისებების ჩამოყალიბება-განვითარებაა. ლიტერატურის სწავლებამ მოზარდში უნდა აღზარდოს და განავითაროს ესთეტიკური გემოვნება (რაც წყობილსიტყვაობის ზეგავლენით ხორციელდება), მაღალი მორალური გრძნობები (რასაც ლიტერატურული პერსონაჟების პირადი მაგალითები და მწერლის მიერ დახატული გარემო აღძრავს), პატრიოტული სულისკვეთება (რაც სამშობლოს წარსულისა თუ აწმყოს ჰეროიკული სურათების ჩვენებით მკვიდრდება) და ა. შ. ამასთან ერთად, ლიტერატურის სწავლება მოზარდში კრიტიკული აზროვნების განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა, რადგან ლიტერატურული პერსონაჟისა თუ მხატვრული სინამდვილის ცალსახა შეფასება, პრაქტიკულად, არ არსებობს. ლიტერატურის სწავლებისას მხოლოდ იძულებით (შიშით!) შეიძლება დანერგო მონისტური შეხედულება ამა თუ იმ ნაწარმოების ან ცალკეული პერსონაჟის შესახებ, რადგან თითოეული მათგანი ადამიანის (მოზარდის) ფსიქიკის ეკრანზე სუბიექტურად აისახება და მისი შეფასება მორალური განვითარების ინდივიდუალური დონის მიხედვით ხორციელდება.

აქედან გამომდინარე, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს, კრიტიკული აზროვნება რაღაც ფსიქოფიზიკური განვითარების ბუნებრივი შედეგია და საგანგებო პედაგოგიური ძალისხმევის გარეშე ჩამოყალიბდება. არა! საერთოდ აზროვნება და კერძოდ, კრიტიკული აზროვნება გარკვეული სოციალური გამოცდილების ათვისების გზით ყალიბდება.

თუ ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლას მოზარდი შემოქმედებითად მიუდგება და განსხვავებული მოვლენებისა და ფაქტორების კონტექსტში განსჯის, უსათუოდ დასჭირდება ფაქტებისა და მოვლენების შეპირისპირება, საკუთარი შემფასებლობითი პოზიციის მოძიება, ამ პოზიციის არგუმენტირება, რაც კრიტიკული აზროვნების განვითარების პირობებს შექმნის.

წარსულში მხატვრული ნაწარმოების განხილვის (შესწავლის) ერთ-ერთ ეფექტიან ფორმად ლიტერატურული პერსონაჟების გასამართლებას მიიჩნევდნენ. ასეთი სასამართლოები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გახდა პოპულარული და არა მარტო სასწავლო დაწესებულებებში იმართებოდა, არამედ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ წრეებში, ფართო საზოგადოების მონაწილეობით. ეს კარგი ტრადიცია სრულიად დაუმსახურებლად მიეცა დავიწყებას. ისეთი შემეცნებითი თუ ემოციური აქტივობა, რაც ლიტერატურული გასამართლების პროცესში მიიღწევა, ძნელად განხორციელდება სხვა ვითარებაში.

ახლახან, ასეთი ლიტერატურული გასამართლების უსამართლოდ მივიწყებული ტრადიცია ძალიან შთამბეჭდავად აღადგინა თბილისის 172-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **ნანა ყანჩაშვილმა**. მისმა მოსწავლეებმა იმპროვიზებულ სასამართლო პროცესზე გაასამართლეს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ პერსონაჟი – მეფე გიორგი I.

ნიშანდობლივად მიმაჩნია ის, რომ ლიტერატურული სასამართლოსადმი ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს როგორც მოსწავლეებმა, ისე პედაგოგებმა და მშობლებმაც კი.

მოსამართლის, ბრალმდებლის, ბრალდებულის, ადვოკატისა თუ მოწმეთა როლებს მოსწავლეები დიდი ენთუზიაზმით ასრულებდნენ და მათი გულწრფელი ემოციები გულგრილს არავის ტოვებდა, მთელ დარბაზს პროცესში აქტიური ჩართვის სურვილი ეუფლებოდა.

დამნაშავეა თუ არა მეფე გიორგი?

მოსწავლეებმა მეფის წინააღმდეგ თუ მის სასარგებლოდ იმდენი და ისეთი არგუმენტები წარმოადგინეს „დიდოსტატის მარჯვენიდან“, რომ, ფაქტობრივად, რომანის გამოწვლილვითი ანალიზი გამოვიდა. რაც მთავარია, ყოველივე ეს აქტიური მოქმედების პროცესში ხორციელდებოდა და ამ გზით მიღებული ცოდნა-გამოცდილების სიმყარე უთუოდ გარანტირებულია (ბიჰევიორისტული პოზიცია!).

როგორი იყო სასამართლოს საბოლოო დასკვნა (განაჩენი!), ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ის არის, რომ მოსწავლეები ლიტერატურული პერსონაჟის მოღვაწეობის შესახებ განსხვავებულ, ზოგჯერ პოლარულად განსხვავებულ შეხედულებებს გამოთქვამდნენ და ერთმანეთისაგან განსხვავებული სიმართლე ჰქონდათ (და მაინც ამხანაგები და მეგობრები იყვნენ!).

ამგვარ ღონისძიებებზე რამდენიმე პედაგოგიური ამოცანა წყდება: მოსწავლეები აქტიური მოქმედების პროცესში ეზიარებიან იმ ისტორიულ-მხატვრულ სინამდვილეს, რაც ნაწარმოებშია წარმოდგენილი, თვალნათლივ რწმუნდებიან იმაში, რომ ერთსა და იმავე საგანსა თუ მოვლენაზე შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს და ყველა მოსაზრებას ჰქონდეს არსებობის უფლება. კამათში ის იმარჯვებს, ვინც სხვაზე უნარიანად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ არგუმენტებს, ვინც უკეთ მოახერხებს ლოგიკური კავშირების დამყარებას მიზეზებსა და შედეგებს შორის და ამით მის სასარგებლოდ დაარწმუნებს საზოგადოებას (ამ შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულებს).

კრიტიკული, ანუ შემოქმედებითი აზროვნების განვითარება თვითმიზანი როდია. იგი სრულყოფილი მოქალაქის, პიროვნების აუცილებელი ნიშანია და აღზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის.

ზურაბ ცუცქირიძე
პედაგოგიკის დოქტორი

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ბათუმის სახელმწიფო აკადემიის სასაწავლო გემზე სწავლების პროცესი დაათვალიერა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ, 2010 წლის თებერვალში, ბათუმის საზღვაო აკადემიას უსასყიდლოდ გადასცა სასწავლო გემი. რეაბილიტაციის შემდეგ მომავალი მეზღვაურები გემზე პრაქტიკულ მეცადინეობას გადიან შემდეგ სპეციალობებში: გემთწამყვანობა, გემთმექანიკოსობა და ელექტრომექანიკოსობა, რაც საერთაშორისო საზღვაო კონვენციის მოთხოვნებს მთლიანად აკმაყოფილებს.

გემზე პრაქტიკულ სწავლებას, ერთდროულად, სამოცი სტუდენტი ეუფლება. ექვსთვიანი კურსის დასრულების შემდეგ მეზღვაური, პირველად საზღვაო აკადემიის ისტორიაში, საზღვაო ადმინისტრაციისგან ე.წ. სამუშაო დიპლომს მიიღებს.

სამუშაო დიპლომის მიღების შემდეგ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა, მსოფლიოს ნებისმიერ წამყვან კრუინგულ კომპანიაში დაიწყოს მუშაობა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზარზე კვალიფიციური მეზღვაურების დიდი მოთხოვნაა.

სასწავლო გემის გადაცემამდე ბათუმის საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულები მხოლოდ სასწავლო დიპლომს იღებდნენ და პრაქტიკული გამოცდილების დაუფლება სხვადასხვა გემებზე უხდებოდათ. მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის შემდეგ მრავალი კრუინგული კომპანია გაკოტრდა და შესაბამისად, ქართველ მეზღვაურებს პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობა შეუმცირდათ.

ბათუმის საზღვაო აკადემიისთვის სასწავლო გემის გადაცემით ეს პრობლემა მოიხსნება და კურსდამთავრებულებს სასწავლო და სამუშაო დიპლომი ერთდროულად გადაეცემათ.

დიმიტრი შაშკინი გემზე პრაქტიკული სწავლების პროცესს პირადად გაეცნო, დაათვალიერა მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება გემის მართვა. როგორც მან აღნიშნა: *„საზღვაო აკადემიისთვის სასწავლო გემის „აკადემია“ გადაცემა მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან მსოფლიო ბაზარზე კვალიფიციური მეზღვაურების მზარდი მოთხოვნაა და სასიხარულოა, რომ ბათუმის საზღვაო აკადემია ამ მოთხოვნას სრულად აკმაყოფილებს“.*

ამ ეტაპზე მსოფლიოს სხვადასხვა წამყვან კრუინგულ კომპანიებში 5000 ქართველი მეზღვაურია დასაქმებული.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ბათუმში მე-10 და მე-12 საჯარო სკოლების პედაგოგებს შეხვდა და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე ესაუბრა. დიმიტრი შაშკინმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ინიციატივა ბათუმში ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დაარსების შესახებ, რომელიც №10 და №11 საჯარო სკოლების გაერთიანების ბაზაზე შეიქმნება და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის – შოთა ქემხაძის სახელი მიენიჭება.

განათლების სისტემის რეფორმის მეორე ეტაპის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილი ინიციატივების ერთ-ერთ პრიორიტეტს, ცალკეული მიმართულებების განვითარების მიზნით, სპეციალური მაპროფილებელი სკოლების შექმნა წარმოადგენს. სპეციალიზებულ სკოლებში, ამა თუ იმ მიმართულებით, გაძლიერებული სწავლება წარიმართება.

ბათუმში სპეციალიზებული ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დაარსებით რეგიონის მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, ადგილზე გაძლიერებულად შეისწავლონ ფიზიკა-მათემატიკის დისციპლინა.

ამ ინიციატივას დადებითად შეხვდნენ სკოლის პედაგოგები. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები, რომლებმაც ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებისთვის გაკვეთილების უფასოდ ჩატარების სურვილი გამოთქვეს.

მინისტრის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ სწორედ აჭარაში შეიქმნება ფიზიკა-მათემატიკური პროფილის სკოლა. თბილისისა და ქუთაისის შემდეგ აჭარაში მცხოვრებ მოსწავლეებსაც საშუალება ექნებათ ადგილზე გაძლიერებულად შეისწავლონ აღნიშნული დისციპლინები. აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთი სკოლების მოსწავლეები იმარჯვებენ სასკოლო ოლიმპიადებში და არიან წარმატებულები, რაც ქვეყნის წინსვლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ყველა პედაგოგს!

კვალიფიციურ საკონსულტაციო საბჭოსა და საგანმანათლებლო ცენტრ „ლიბო მნტ“-ს დახმარებით გამოვიდა უნიკალური სახელმძღვანელო, რომელიც დაგეხმარებათ მოემზადოთ მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის.

სახელმძღვანელო
მოიცავს შემდეგ თემებს:

სასწავლო გარემო;
მოტივაცია და კომუნიკაცია;
სასწავლო პროცესი;
კლასის მართვა;
შეფასება;
სწავლების სტრატეგიები და მეთოდები.

თემების მიხედვით მოცემულია საკითხავი მასალა, ცოდნის შესამოწმებელი კითხვები, სიტუაციური ამოცანები, ტესტები და მათი პასუხები.

სახელმძღვანელო შეგიძლიათ შეიძინოთ ორგანიზაციის ოფისში:
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №128
ტელეფონი: 8(22)478919, 893577072 (ქრისტი)
ან გადმორიცხვით:
შპს „ლიბო მნტ“ ანგარიში № 215999200, ს/კ 200243502
ს.ს. „ საქართველოს ბანკი“ცენტრალური ფილიალი, ს/კოდი 220101502
(გვარი, სახელი, სკოლა) დანიშნულება. ღირებულება – 8 (რვა) ლარი.

„გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

ძირითადი უძრავ/მოძრავი და სხვა მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა

მოგესალმებით პატივცემულო მკითხველო, პროექტ საგანმანათლებლო „გზამკვლევის“ ფარგლებში ვაგრძელებთ საკანონმდებლო ბაზაში მომხდარი, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ცვლილებებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაციის განხილვას. წინა ნომრებში ჩვენ მიერ შემოთავაზებული იყო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონში მომხდარი ცვლილებები, დღევანდელი თემა იქნება საგანმანათლებლო დაწესებულების ბალანსზე რიცხული მატერიალური აქტივების ჩამოწერის წესი და თანმხლები პროცედურები.

მოგეხსენებათ, 2010 წლის 22 მარტის საქართველოს მთავრობის №82 დადგენილებით, დამტკიცდა: სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი, სადაც მოცემული გვაქვს გარკვეული სიახლეები. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ჩვენი სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე ძალიან ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც, მაგალითად, საჯარო სკოლაში დაგროვილია და ერთ ადგილას თავმოყრილია ჩამოწერილი მატერიალური საშუალებები: ძველი მერხები, სკამები, გათბობის ღუმელები (რადიატორები) და სხვ. დაწესებულების ხელმძღვანელებს აქვთ სურვილი, გაათავისუფლონ შენობა ამ გამოუყენებელი, ნარჩენი ინვენტარისგან და თავს იკავებენ რთული პროცედურების გამო. შევეცდებით, ეტაპობრივად ავხსნათ ყველა ის პროცესი, რომელიც ასეთ შემთხვევებშია ჩასატარებელი.

კანონმდებლობით დადგენილი წესით, ორგანიზაციის ბალანსიდან შესაძლებელია ჩამოწერილ იქნეს როგორც ძირითადი (ამორტიზებული ან გამოუყენებელი) უძრავი და მოძრავი აქტივები, ასევე სხვა (მცირეფასიანი) აქტივებიც.

I ეტაპი – ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია ტარდება ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით. ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა: სამეურნეო წლის ბოლოს, ქონების დროებით მესამე პირზე სარგებლობისათვის გადაცემისას (იჯარა), პასუხისმგებელი პირის შეცვლისას, ქურდობის/დაზიანების ფაქტის გამოვლენის დროს. ასევე, ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს ძირითადი აქტივების ჩამოწერის მიზნით. დღეს განვიხილოთ უშუალოდ ჩამოწერის მიზნით განხორციელებული ინვენტარიზაცია.

1. სსიპ-ის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერის მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს, არანაკლებ, ხუთი წევრისაგან, მათ შორის: თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, ბუღალტერი (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი) და წევრ(ებ)ი;

2. საინვენტარიზაციო კომისია სწავლობს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივ მდგომარეობას, შესაბამისი გადაწყვეტილებით ასაბუთებს ძირითადი აქტივების ჩამოწერის აუცილებლობას, ავსებს დებულების თანდართული ჩამოსაწერი ძირითადი აქტივების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტებს (იხ. 2010 წლის 22 მარტის საქართველოს მთავრობის №82 დადგენილებით დამტკიცებული დებულების №1 და №2 დანართები) და ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტებს (№3 დანართი), თითოეულ ძირითად აქტივზე ცალ-ცალკე. საჭიროების შემთხვევაში, საინვენტარიზაციო კომისიამ შესაძლებელია გამოიყენოს დარგის სპეციალისტის დასკვნა (შესაბამისი აუდიტორული ან საექსპერტო) ჩამოსაწერი ქონების შეფასების შესახებ. საინვენტარიზაციო კომისია ქონების ჩამოწერის შესახებ დასკვნას, ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად, წარუდგენს ხელმძღვანელს, რომელიც გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანება ჩამოწერის ან ჩამოწერის პროცედურის დაწყების შესახებ).

II. ძირითადი და სხვა (მცირეფასიანი) აქტივების ჩამოწერა

ინვენტარის ჩამოწერის შესახებ გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს მაკონტროლებელ ორგანოს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ბალანსიდან ჩამოწერა ხორციელდება:

1. *მოძრავი ქონების* – დაწესებულების ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებით და სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) თანხმობით.

ძირითადი აქტივები – მოძრავი ქონება ჩამოწერილად ჩაითვლება, დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებით საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნის შესაბამისად გამოცემული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

2. *უძრავი ქონების* – დაწესებულების ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, რომელიც გაიცემა ჩამოწერის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივები – უძრავი ქონების ჩამოწერის საკითხს განიხილავს ჩამოწერის კომისია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით. ანალოგიური კომისიები იქმნება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში შესაბამისი წარმომადგენლების მონაწილეობით.

3. *მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების* ჩამოწერა ხდება მათი სრული გაცვეთის შემთხვევაში, ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული სათანადო აქტის საფუძველზე.

დაწესებულებისთვის თხოვების ფორმით გადაცემული მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერისას აუცილებელია გამნათხოვრებლის თანხმობა.

III. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვა

1. დაწესებულების ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერის პროცედურის დასრულების შემდეგ, ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) აისახება ბალანსში მარაგების სახით, დებულებით გათვალისწინებული აქტებით (იხ. 2010 წლის 22 მარტის საქართველოს მთავრობის №82 დადგენილებით დამტკიცებული დებულების დანართი №1; №2; №3.) დადგენილი ღირებულების შესაბამისად.

2. ჩამოწერის შედეგად მიღებული და მარაგების სახით ბალანსზე აღრიცხული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვას დაწესებულება ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

IV. ჩამოწერილი და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების განადგურება

1. ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელია, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე, ექვემდებარება განადგურებას, რომელიც ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ქონების განადგურების პროცესს ესწრება ამავე ქონების ჩამოწერის მიზნით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სრული შემადგენლობის, სულ ცოტა, ნახევარზე მეტი და დგება ჩამოწერილი ქონების განადგურების აქტი.

3. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების განადგურება უნდა განხორციელდეს ამ მიზნისათვის კანონმდებლობით გამოყოფილ ადგილებში (კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადგილებში იგულისხმება – ნაგავსაყრელები და სხვა ადგილები, სადაც შესაძლებელია ჩამოწერილი ქონების განადგურება).

4. ქონების განადგურების მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია საინვენტარიზაციო კომისია.

V. ძირითადი და სხვა აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული მატერიალური ფასეულობების რეალიზაცია

იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია თავისი საჭიროებისათვის არ გამოიყენებს ძირითად საშუალებათა და სხვა ქონების ჩამოწერიდან მიღებულ მატერიალურ ფასეულობებს, ისინი რეალიზებულ უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (იხელმძღვანელეთ – საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ). ამავე დროს, ძირითადი საშუალებების, ასევე მათი დაშლიდან მიღებული მასალებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების რეალიზაციიდან მიღებული თანხები საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ექვემდებარება ბიუჯეტში შეტანას.

რეკომენდაცია: აღნიშნული პროცესის განხორციელებამდე საქმის კურსში ჩაყენებულ უნდა იქნეს მაკონტროლებელი ორგანო (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ მიერ დღეს განხილული საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ დიდი მოცულობისაა, ხოლო კონკრეტული საკითხები, ხშირ შემთხვევებში, რთულად გასაგებია, შეგახსენებთ, რომ თქვენ შეგიძლიათ დაგვისვათ კონკრეტული შეკითხვები თქვენთვის რთულად გასაგებ თემებთან დაკავშირებით. ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, შევეცდებით გაგცეთ სრულყოფილი პასუხები. შეკითხვების დასმა და სხვა მომსახურების მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით.

აუდიტორული კომპანია – „მ.ე.ს.-ექსპერტი“
ვებგვერდი: www.mes-expert.ge ელფოსტა: mes_expert@yahoo.com საკონტაქტო ტელ.: 8(99) 92 25 95

ინფორმაცია

* * *

2010 წლის 10 მაისს თბილისის აკად. ი. ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დირექტორმა **ალუდა გოგლიჩიძემ** და სტამბულის ატაზექირ რემზი ბაირაქტარის საშუალო პროფესიული სკოლის დირექტორმა **ერდოგან ატილამ** ხელი მოაწერეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმის მიზანია:

– სკოლებს შორის ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება განათლების პოლიტიკის, სასწავლო პროგრამებისა და სტანდარტების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესისა და ზოგადად სკოლის მართვის შესახებ;

– მასწავლებლებსა და მმართველ ჯგუფებს შორის პირდაპირი პროფესიული კავშირების დამყარება, გაცვლითი პროგრამების უზრუნველყოფა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება;

– მოსწავლეთა შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარება და განვითარება, გაცვლითი პროგრამებისა და საზაფხულო სკოლების ორგანიზება;

– ერთობლივი და რეგიონაული პროექტებისა და პროგრამების ინიცირება, შექმნა და რეალიზება კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო კავშირების გამყარების მიზნით;

– შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის, ევროინტეგრაციის და სხვა რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით წარმატებული პრაქტიკის ურთიერთგაზიარება და ერთობლივი ახალი პროექტების ინიცირება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიᲘ

19 მაისს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში,Ი ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომელიც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის მჭიდრო თანამშრომლობას ისახავს მიზნად. შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი **დავით ტყეშელაშვილი**, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი **ირაკლი კვაშილავა**, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. შეხვედრა ᲘᲐხსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **არჩილ ფრანგიშვილმა**. მან ᲘᲠცლად ისაუბრა მემორანდუმის შესახებ, რომელიც სამშენებლო-ჰიდრო მიმართულების აღორძინებას ითვალისწინებს. წყალმომარაგების რეფორმის შედეგად, რაც არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენებას გულისხმობს,Იშესაძლებელი იქნება საქართველოს ყველა ქალაქის 24-საათიანი წყალმომარაგება. მემორანდუმი Ითვალისწინებს სტუ-სᲘსტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის, Იმათი შემდგომი დასაქმების გათვალისწინებით, ხელშემწყობი პირობების შექმნას. Იღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ხდება სამინისტროს კვლევითი ცენტრი და, შესაბამისად, მომავალში სასწავლო-კვლევითი სამუშაო ერთობლივად წარიმართება. განხორციელდება ახალი ინვესტიციები. რექტორმა მინისტრსᲘ ამ პროექტისთვის მადლობა გადაუხადა.

სადაკო – მშვიდობის ელჩი

24 მაისს, სამების საკათედრო ტაძრის საგამოფენო დარბაზში, მოსწავლეთა ნახატების კონკურსის „ სადაკო – მშვიდობის ელჩი“ გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა. პროექტი განახორციელა სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკომ“, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. ღონისძიების პარტნიორები იყვნენ ქალაქ თბილისის მერია და თელავის მუნიციპალიტეტი. გამოფენა-კონკურსი ჩატარდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის თანადგომით. ღონისძიებას საინფორმაციო მხარდაჭერა გაუწია გაზეთმა „ახალი განათლება“. კონკურსში საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, რუსთავი, თელავი და სხვ.), მათ შორის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები. 332 ნამუშევრიდან 100 საუკეთესო ნამუშევარი შეირჩა. კომპეტენტურმა ჟიურიმ (თავმჯდომარე – **გია ბუღაძე**, წევრები: **თამაზ ვარვარიძე**, **ნინო გუჯაბიძე**, **მაცაცო გაბუნია**, **მაია ქინქლაძე**, **ნინო ჭოღოშვილი**) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ცხრა გამარჯვებული გამოავლინა.

I ადგილი მოიპოვეს: **ნიკა მაღედანმა** (პირველი ასაკობრივი ჯგუფი), თბილისის 139-ე საჯარო სკოლა; **ნოდარ პირველმა** (მეორე ასაკობრივი ჯგუფი), თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის სამხატვრო ხელოვნების სკოლა; **თამარ იოსელიანმა** (მესამე ასაკობრივი ჯგუფი), ქუთაისის გ. მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლა.

II ადგილი წილად ხვდათ: **ქეთი მესხიშვილს** (პირველი ასაკობრივი ჯგუფი), თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის სამხატვრო ხელოვნების სკოლა; **სოფო ლიპარტელიანს** (მეორე ასაკობრივი ჯგუფი), თბილისის 165-ე საჯარო სკოლა; **დიმა მარტიროსიანს** (მესამე ასაკობრივი ჯგუფი), თბილისის 63-ე საჯარო სკოლა.

III ადგილი მოიპოვეს: **ნია გაბუნიამ** (პირველი ასაკობრივი ჯგუფი), თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის სამხატვრო ხელოვნების სკოლა; **ნატო მსხილაძემ** (მეორე ასაკობრივი ჯგუფი), თბილისის 63-ე საჯარო სკოლა; **თიკო ჭონიშვილმა** (მესამე ასაკობრივი ჯგუფი), თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის სამხატვრო ხელოვნების სკოლა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა **ლალი ებანოიძემ** მოსწავლეთა კონკურსის „სადაკო – მშვიდობის ელჩი“ გამარჯვებულები: თბილისის 139-ე საჯარო სკოლის მოსწავლე **ნიკა მაღედანი**, თბილისის სოლიკო ვირსალაძის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლე **ნოდარ პირველი** და ქუთაისის გ. მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლე **თამარ იოსელიანი** კომპიუტერებით დააჯილდოვა. II-III ადგილებზე გასულებსა და წამახალისებელი პრიზების მფლობელებს საჩუქრები გადასცეს გამომცემლობებმა (პალიტრა L, ქარჩხაძის გამომცემლობა, ანბანი, ინტელექტი, არტანუჯი, ძია ნოდარის წიგნები, საბავშვო გამომცემლობა დილა, მინიატურა). კონკურსის ყველა მონაწილეს დიპლომები და საჩუქრები გადაეცათ.

ლია დაუშვილი, სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკოს“ თავმჯდომარე: *„კონკურსი „სადაკო – მშვიდობის ელჩი“ აპრილის თვეში გამოვაცხადეთ. კონკურსანტებს იაპონელი გოგონას – სადაკო სასაკის ტრაგიკული ისტორია შემოქმედებითად უნდა გაეაზრებინათ და შეექმნათ ნახატი, რომელშიც გადმოცემული იქნებოდა საკუთარი აზრი, განცდა, ემოცია, შთაბეჭდილება და დამოკიდებულება სადაკოს ტრაგიკული ისტორიისადმი. ჟიურის მიერ შეირჩა საუკეთესო ნახატები, რომელთაგან სამი I, II, III ხარისხის პრიზებით აღინიშნა. სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული მოსწავლეები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. მოგეხსენებათ, სადაკო სასაკის ისტორია ყველა იაპონელისათვის ცნობილია. გოგონა, 1945 წლის 6 აგვისტოს, ჰიროსიმაში ატომური ბომბის ჩამოგდების თვითმხილველი იყო და 1954 წელს ლეიკემიით გარდაიცვალა. მეგობრებმა, რომლებიც აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი სიმამაცით და სიძლიერით, სადაკოს წერილები წიგნად გამოსცეს, ხოლო სადაკოს 1000 ქაღალდის წეროს ამბავი კი ლეგენდად იქცა. ჰიროსიმას მშვიდობის მემორიალურ პარკში დგას სადაკოს ბრინჯაოს ძეგლი, ოქროსფერი წეროთი ხელში. 6 აგვისტოს, გვინდა ჩვენი ხმა შევუერთოთ მსოფლიო პროგრესული საზოგადოების ხმას და ჰიროსიმას ტრაგედიის დღეს თბილისში, მშვიდობის ხიდზე, ქალაქ თბილისის მერიასთან ერთად, მოვაწყოთ 100 გამარჯვებული ნახატის გამოფენა. აქვე გაიმართება 100 საუკეთესო ნახატის კატალოგის პრეზენტაცია“.*

მაკა ყიფიანი

„ერთობა ჩვენი – გულისცემა საქართველოსი!“

2010 წლის 21 მაისს, თბილისის 144-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**), საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა – „ერთობა ჩვენი – გულისცემა საქართველოსი!“

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე – **მზია ლალიაშვილი**, საქართველოს პარლამენტის სპორტის კომიტეტის წევრი – **გიორგი მახათაძე**, კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის – დილარ ხაბულიანის ბიუროს სპეციალისტი **გიორგი ნიჟარაძე**, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნის“ სასკოლო პროგრამების კურატორები: **ქრისტინე კიკალაშვილი**, **ფერიდე სანიკიძე**, სპმთპ კრწანისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **როზმარ გახელაძე**, ზემო ნიქოზის დამეგობრებული საჯარო სკოლის დირექცია, რამდენიმე პედაგოგი და მოსწავლე; მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საჯარო სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები.

სკოლის საკლასო ოთახების კედლებს ამშვენებდა საქართველოს თითოეული კუთხის მხატვრული პანოები. დეკორაციებში, ყოფით ელემენტებში, კულინარიის ნიმუშებში, ჩაცმულობებში, წარმოდგენებში, მეტყველებაში იგრძნობოდა, რომ პედაგოგებმა და მოსწავლეებმა საგულდაგულოდ შეისწავლეს თითოეული კუთხის ტრადიციები, ეს იყო მხატვრულად გადმოცემული შემეცნებითი ნაშრომი. III-X კლასების მოსწავლეებმა მხატვრული შემოქმედებით წარმოადგინეს საქართველოს კუთხეები. საფინალო კომპოზიცია „მოვიარე საქართველო“ სიმღერითა და პანტომიმით ყველა კუთხის წარმომადგენლებმა ერთობლივად განასახიერეს. მასში აისახა გაერთიანებული საქართველო, რომელიც დაფუძნებულია თითოეული კუთხის სიძლიერეზე. ეს იყო კარგად შეკრული სანახაობა, რომელიც დაასრულა ქალბატონმა მანანა კიკაჩეიშვილმა მუხრან მაჭავარიანის ლექსით „შენ სისხლო ჩემო“. ღონისძიების მონაწილეებმა პატივი მიაგეს დიდი პოეტის ხსოვნას.

ღონისძიება შეაფასა ნიქოზის მკვიდრმა **უშანგ მინდიაშვილმა** (წლების განმავლობაში ცხინვალის თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი): *„ჩვენ ვნახეთ შესანიშნავი კოლექტივი და მათი განხორციელებული ღონისძიება, რომელსაც უცრემლოდ არ ჩაუვლია. იყო მწუხარების ცრემლიც და სიხარულისაც. დავრწმუნდით, რომ ეს ახალგაზრდები ისეთი სულისკვეთებით იზრდებიან, რომ მალე საქართველო გაერთიანდება. ნათელია ამ სკოლის ზეამოცანა – ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდა, რომელიც ძლიერი და ერთიანი საქართველოს გვირგვინი იქნება...“*

თამარ ჭარბაძე, 183-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„ჩანს, უზარმაზარი შრომა გაქვთ გაწეული, მთელი სკოლა ჩართულია ამ პროცესში. თეთრი შურით ვარ აღსავსე. ასეთი პროექტები ძალიან ბევრი გეკეთებინოთ. არაჩვეულებრივი მომავალი თაობა გეზრდებათ, რაც უდაოდ თქვენი დამსახურებაა...“*

ნათია ფეიქრიშვილი, 153-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„ძალიან დიდხანს გაგვყვება ეს ემოცია, რომელიც კარგი იქნებოდა უფრო ფართო საზოგადოებას ენახა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს ყველაფერი ბავშვებისათვის კეთდება, რომლებმაც იშრომეს და ეს ყველაფერი გაითავისეს...“*

გიორგი მახათაძე, პარლამენტის განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის წევრი: *„მე ამ სკოლის კურსდამთავრებული ვარ, ჩემთვის უცხო არ არის ასეთი კარგად მომზადებული ღონისძიების ხილვა...“*

მანანა კიკაჩეიშვილი, 144-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„ეს ღონისძიება, შეიძლება ითქვას, პასუხია იმ მტრის წინააღმდეგ, რომელიც დღესაც მეგრელებად, სვანებად, კახელებად, გურულებად... დაყოფას გვიპირებს. რაც არ უნდა კარგი იდეა მომსვლოდა და დამეწერა, მის განხორციელებას ვერ შევძლებდი, რომ არა მთელი კოლექტივის ერთსულოვნება. მაინც მინდა განსაკუთრებით გამოვყო პედაგოგი* ***თეა ქორქაშვილი*** *და კლასის ხელმძღვანელები, რომლებმაც საქართველოს კუთხეები წარმოადგინეს. ასევე დიდ მადლობას ვუხდი ხატვისა და მუსიკის მასწავლებლებს:* ***ფიქრია შათირიშვილს, სოფიო ქუმსიაშვილს, მარიან კელეპტრიშვილის, ეკა მიტიჩაშვილს****, დირექტორის მოადგილეებს, სამეურვეო საბჭოს, ყველა პედაგოგსა და თანამშრომელს“.*

შორენა ზარდიაშვილი
დირექტორის მოადგილე
აღმზრდელობით დარგში

საგანმანათლებლო კერები

თბილისი

თბილისი ქართულ საისტორიო წყაროებში თავდაპირველად მოხსენიებულია IV საუკუნის 60-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით, როცა სასანიანთა ირანის სახელმწიფო ქართლში პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებისათვის იბრძოდა.

ეს ცნობა საისტორიო თხზულების „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ანონიმ ავტორს ეკუთვნის, რომლის მოღვაწეობის ხანა VII (ან IX) საუკუნით თარიღდება.

ფეოდალური ხანის საქართველოს ქართული საისტორიო წყაროები ჩვენს დედაქალაქს საერთოდ ტფილისს უწოდებენ, ტფილისი ეწოდება მას VI საუკუნის ანონიმის „ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში“ და მომდევნო ხანის სხვა თხზულებებში.

„ტფილი“, რომელიც საფუძვლად უდევს თბილისის სახელს და თბილს ნიშნავს, ძირეული ქართული სიტყვაა და მას შესატყვისები მოეძებნება ჭანურ-მეგრულსა და სვანურში.

ქართველი მემატიანის ცნობას, რომ ამ პუნქტს IV საუკუნეში უკვე ეწოდებოდა ტფილისი, რამდენადმე მხარს უჭერს IV საუკუნის მეორე ნახევრის საგზაო რუკა, შედგენილი რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ, რომელიც არსებულ ლიტერატურაში „პევტინგერის ტაბულის“ სახელითაც იხსენიება.

VII საუკუნის დასაწყისიდან, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ქართლში საბოლოოდ ქრისტიანობის მართლმადიდებლური მრწამსი დამკვიდრდა. ამ დროიდან ერისმთავრებმა და თბილისის არისტოკრატიული მოსახლეობის წარმომადგენლებმა დიდი საეკლესიო მშენებლობა გააჩაღეს.

VII-VIII საუკუნეებში თბილისში, მარიამის სახელობის ეკლესიისა და სიონის ტაძრის გარდა, არაერთი სხვა ეკლესიაც აშენდა. VIII საუკუნეში თბილისში უკვე რამდენიმე ეკლესია იყო. ამ ხანის სულიერ და მატერიალურ კულტურას ატყვია ქრისტიანული თემატიკისა და იდეოლოგიის ძლიერი გავლენა. თავისთავად ქრისტიანობა, წმინდა პრაქტიკული ხასიათის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, იძულებული იყო დიდი ყურადღება მიექცია სამწიგნობრო საქმის განვითარებისათვის; როგორც ცნობილია, ქრისტიანული ღვთისმსახურების აღსრულების დროს იკითხებოდა ადგილები „საღვთო წერილის“ წიგნებიდან. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში მწიგნობრული კულტურის მატარებლები უმთავრესად სამღვდელოების წარმომადგენლები იყვნენ.

სამღვდელოებამ იმთავითვე შექმნა განსაკუთრებული ორგანიზაციები, რომლებიც ეკლესიის მსახურთა კადრებს ამზადებდნენ, ზრუნავდნენ წიგნადი ფონდის შექმნისათვის და მისი გავრცელებისათვის მორწმუნე ქრისტიანთა შორის. ასე გაჩნდა პირველი სკოლები ქრისტიანულ ეკლესიებთან, საეპისკოპოსო კათედრებთან, ცოტა უფრო გვიან კი – მონასტრებთან. ისინი თანდათანობით გადაიქცნენ სასწავლო-სასკოლო ცენტრებად და მსხვილ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებად.

თუ როგორ იყო მოწყობილი პირველი საეკლესიო თუ სამონასტრო სკოლები თბილისში, ამაზე მსჯელობა პირდაპირი და ზუსტი ისტორიული ცნობების უქონლობის გამო ძნელია, მაგრამ ისინი ორგანიზებული უნდა ყოფილიყო იმ ტიპური ქრისტიანული სკოლების ანალოგიის მიხედვით, რომელნიც მრავლად ჩამოყალიბდნენ საერთოდ ქრისტიანულ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც. აღნიშნულ ხანაში წინა აზიასა და ბიზანტიაში შემოიღეს საპატრიარქო, საეპისკოპოსო, სამონასტრო და საეკლესიო სკოლები. ამათგან, ყველაზე გავრცლებული ტიპი იყო საეპისკოპოსო და საეკლესიო სკოლები, რომელნიც არსებობდნენ ქალაქის მსხვილ საეპისკოპოსო კათედრებსა და ეკლესიებთან. ასეთი სკოლების კლასიკურ მოდელს წარმოადგენდა ცნობილი ნაზიბინის სკოლა, რომლის ძირითად დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა პრაქტიციზმი: მწიგნობარი ბერ-მონაზვნების აღზრდა და ეკლესიის მსახურთა მომზადება. სასწავლო მასალაც ეკლესიის მსახურთა მომავალი კადრებისათვის შესაბამისად იყო შერჩეული. უმთავრეს საგნებად აქ ითვლებოდა: ეგზეგეტიკა, ე.ი. ბიბლიური ტექსტების შესწავლა და ახსნა-განმარტება; ჰომილეტიკა, ანუ ეკლესიაში საჯაროდ სწავლა-მოძღვრების წარმოება; ლიტურგიკა; ჰიმნოგრაფია (საეკლესიო გალობა).

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების პირველ პერიოდში თბილისში, საფიქრებელია, სწორედ ასეთი ტიპის სკოლები უნდა გახსნილიყო. ამ მოსაზრებას მყარ და რეალურ საფუძველს უქმნის „ადრექრისტიანული“ ხანის (IV-VII სს.) თბილისის ისტორიის შემდეგი ფაქტები“: 506 წლის ქ. დვინის საეკლესიო კრების აქტებიდან ნათლად ჩანს, რომ თბილისში ამ დროისათვის უკვე არსებობდა საეპისკოპოსო კათედრა, კერძოდ, „ეპისტოლეთა წიგნში“ დაცულ ამ საეკლესიო კრების მონაწილეთა ნუსხაში ერთ-ერთ საპატიო ადგილას იხსენიება ტფილისის ეპისკოპოსი საჰაკი.

ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, 472-484 წწ. გატარებული საეკლესიო რეფორმების შედეგად, ქართული ქრისტიანული ეკლესია ავტოკეფალური ხდება მან მოიპოვა კათალიკოსის დამოუკიდებლად არჩევის უფლება. მისი შინაგანი ორგანიზაცია სულ უფრო და უფრო მძლავრი გახდა, გათავისუფლდა ანტიოქიის საპატრიარქოს გავლენისაგან. აღნიშნულ ხანაში თბილისში ფართოდ გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა. თბილისელი სწავლულები აქტიურად მონაწილეობდნენ ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხების ზოგადთეორიულ დამუშავებაში, ჰქმნიდნენ ორიგინალურ ქართულ ლიტერატურას მწერლობისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, ყალიბდებოდა სწავლა-განათლების თვალსაჩინო ცენტრები.

უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისში V-VII სს-ში წარმოქმნილი ქრისტიანული რელიგიის კერები – ანჩისხატი (მარიამ წმინდა), ქაშუეთი, სიონი – მარტო წმინდა საკულტო-საეკლესიო ცენტრები კი არ იყო, არამედ მათ განათლებისა და სასწავლო-სასკოლო დანიშნულების მისიაც ჰქონდათ დაკისრებული. თბილისის ამ დასახლებულ პუნქტებში უნდა გახსნილიყო ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი საეპისკოპოსო და საეკლესიო ტიპის სკოლები. სწორედ მათ ირგვლივ უნდა ყოფილიყვნენ შემოკრებილნი იმდროინდელი თბილისის სწავლა-განათლების საქმისა და ლიტერატურის წარმომადგენლები.

VII საუკუნის დამდეგს თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედებითი ცხოვრების მეთაური ჩანს კირიონ I, ქართლის კათალიკოსი (599-614 წწ.), რომელმაც თავისი პრაქტიკული საქმიანობით დიდად შეუწყო ხელი თბილისში განათლების, მეცნიერებისა და ლიტერატურის შემდგომ განვითარებას. მისი თაოსნობით თბილისი გადაიქცა ქართული მწიგნობრობის დიდ კერად. განსაკუთრებით აღსანიშნავია კირიონ I-ის პატრიოტული მოღვაწეობა, იგი მედგრად იდგა ქართული ეკლესიისა და ეროვნული კულტურის სადარაჯოზე.

ამ ხანებში თბილისის სიონის ტაძარში არსებულა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა-წიგნსაცავი, სადაც ინახებოდა იმდროინდელ ცივილიზებულ მსოფლიოში უკვე ცნობილი კანონიკური მწერლობის ძეგლები. კერძოდ, როგორც ეს ნათლად ჩანს კირიონის მიერ აბრაამ სომეხთა კათალიკოსისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი საპასუხო ეპისტოლედან, VII ს-ის თბილისელ სწავლულ მეცნიერებს ხელთ ჰქონდათ მსოფლიო საეკლესიო კრებების ძეგლისწერთა წიგნები, რომელთაც ისინი მეტად ოსტატურად იყენებდნენ რელიგიური კამათის დროს. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „სრული უეჭველობითა ჩანს, რომ VI-VII სს. საქართველოს ეკლესიას მსოფლიო კრებების ძეგლისწერათა წიგნი ჰქონია და ამგვარად ქართული კანონიკური მწერლობა, ამ შემთხვევაში მსოფლიო ეკლესიის კანონების თარგმანების სახით მაინც, უკვე არსებობდა“.

თბილისის წიგნსაცავები მეზობელი ქვეყნების მეცნიერთათვისაც კარგად ყოფილა ცნობილი. მაგალითად, უხთანესს თავისი თხზულების წერის დროს, როდესაც სომეხ ეპისკოპოს მოსე ელივარდელსა და კირიონ ქართლის კათალიკოსს შორის მიმოწერის მასალები დასჭირდა და იგი ვერ აღმოაჩინა სომხურ ენაზე არსებულ სათანადო კრებულებში, გადაწყვიტა მათი ქართული შესატყვისების მოძებნა თბილისის წიგნსაცავებში. დაკარგული ეპისტოლეების ქართული ვარიანტები უხთანესმა მართლაც აღმოაჩინა „საკვირველნაშენ და საოცარ, სახელოვან და გამოჩენილ დიდ დედაქალაქ თბილისში“, ათარგმნინა და შეიტანა თავის თხზულებაში.

XI-XII სს-ისა და XIII ს. დასაწყისის თბილისში სასკოლო განათლებისა და სკოლების არსებობის შესახებ წერილობით წყაროებში პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლები არსებობდა თბილისის ისეთ საეკლესიო და საკულტო კერებში, როგორიც იყო: ანჩისხატის ბაზილიკური ეკლესია, სიონის ტაძარი, „ლურჯი მონასტერი“, განსაკუთრებით კი მეტეხის ტაძარი, რომელიც სამეფო კარის ეკლესიას წარმოადგენდა. ამავე დროისთვის, როგორც ჩანს, თბილისში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე კერძო სახის საშინაო სწავლება. საშინაო სწავლების ტრადიცია ძველთაგანვე არსებობდა თბილისში და უმთავრესად კარისა და დიდგვარიანი ოჯახის შვილების აღზრდასთან დაკავშირებით გვხვდება.

თამარ მეფის აღზრდას მეთვალყურეობდა მისი მამიდა რუსუდანი, რუსუდანისავე სახლში იზრდებოდა დავით სოსლანი, შემდგომში თამარის ქმარი, რომელიც რუსუდანს „მოეყვანა საზდელად სახლსა შინა მისსა“.

XI-XII სს-ის თბილისში სასკოლო განათლების არსებობისათვის ხელი უნდა შეეწყო იმ გარემოებასაც, რომ ამ პერიოდში ქართველებმა კარგად გაიცნეს ბიზანტიური სკოლა. მრავალი ქართველი, დიდგვარიან ფეოდალთა ოჯახების წარმომადგენელი ბიზანტიის სკოლაში იძენდა ბერძნულ განათლებას. სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის ცნობით, დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად და მთარგმნელობით ხელოვნებაში გასაწვრთნელად.

თბილისის, როგორც განათლებისა და მეცნიერების მძლავრი ცენტრის, როლი მთელი სიდიადით გამოვლინდა XII საუკუნეში, სახელდობრ მას შემდეგ, როცა იგი დავით აღმაშენებელმა, 1122 წელს, მუსლიმან დამპყრობელთა უღლისაგან გაათავისუფლა. ამიერიდან თბილისი ქართული ფეოდალური მონარქიის მთელი კულტურული ცხოვრების ცენტრად იქცა.

თბილისში განათლებისა და მეცნიერების ზრდა-განვითარებას ხელს უწყობდა თვით ქართველ მონარქთა (დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, თამარი) მეცენატობა. ქართველი მეფეები არა მარტო ხელს უწყობდნენ მეცნიერებისა და სწავლა-განათლების წინსვლასა და განვითარებას, არამედ, შეძლებისდაგვარად, საკუთარი წვლილიც შეჰქონდათ ამ დიდ საქმეში.

XI-XIII სს-ის თბილისში, სამეფო კარზეა შეთხზული „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“ (დავით აღმაშენებლის ისტორია), „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და სხვა არაერთი პირველხარისხოვანი საისტორიო ნაშრომი.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის“ გადმოსცემს XI-XII სს-ის საქართველოს ისტორიას. ავტორის ვინაობა დადგენილი არ არის, მაგრამ, როგორც მისი თხზულების შინაარსიდან ჩანს, ის დავითის თანამედროვე, პირადად მასთან და სამეფო კარზე ძალზე დაახლოებული პირი იყო. თხზულება დაწერილია 1123-1126 წლებში.

XVI-XVII საუკუნეებში ქართულ კულტურას გამოცოცხლება-აღორძინება დაეტყო. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ დროის ქართული კულტურა საზრდოობდა საკუთარი ისტორიული მემკვიდრეობით, ეროვნულ ნიადაგზე ამუშავებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურულ მიღწევებს და გავლენას ახდენდა უშუალო მეზობელთა განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ XVI-XVII საუკუნეებში ქართველი ხალხი დაძაბულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწოდა უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, ფეოდალური საზოგადოების პროგრესული მოღვაწენი, შეძლებისდაგვარად, ზრუნავდნენ სწავლების, აღზრდისა და განათლების გაუმჯობესებისა-განვითარებისათვის. მათ კარგად ესმოდათ, რომ განათლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში. განათლების მთელ მაშინდელ სისტემას ქრისტიანულ-რელიგიური მსოფლმხედველობა განსაზღვრავდა. ეს სისტემა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის განმტკიცებას ემსახურებოდა, მაგრამ, ამასთან, იგი მძლავრ იდეურ საშუალებას წარმოადგენდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგების შეკავშირებისა და განმტკიცებისათვის.

XVI-XVII საუკუნეებში კულტურისა და განათლების ერთ-ერთი ცენტრი თბილისი იყო. აქ, ისე როგორც სხვაგან, მოზარდთა სწავლა-აღზრდა და განათლება მეფეთა და სხვა ფეოდალთა ოჯახებში და სკოლებში ხდებოდა.

საოჯახო აღზრდა-განათლებას, როგორც ჩანს, მაშინდელი განათლების სისტემაში უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, სასკოლო განათლებას კი, ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობისა და მუდმივი ომიანობის პირობებში, თითქმის გადაულახავი დაბრკოლებები ეღობებოდა.

სამეფო კარზე, მეფეთა ოჯახების წევრები განათლებას ღებულობდნენ აღმზრდელ-მასწავლებელთა მეშვეობით, შემდეგ კი თვითგანათლების გზით. ასე მიიღეს იმ დროისათვის ბრწყინვალე განათლება ვახტანგ V-ის შვილებმა: არჩილმა, გიორგიმ, ლევანმა და სხვებმა: „აღზარდნა მეფემან ესენი დიდად სახელოვანნი და პატიოსანნი ძენი და ასულნი თჳსნი მრავლითა ფუფუნებითა და საჴელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა. პირველად განსწავლნა საღმრთოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ, ხოლო უმეტესად საეროთა და სავაჟკაცოთა მჴედრობითა გამოცდილობითა ყოვლითურთ, სამამაკაცო ზნეობითა ესრედ სახედ, რომე არაოდეს არა აღზრდილ არს საქართველოსა შინა მათებრივ არცა ძენი მეფეთანი და არცა დიდებულთანი“. სულხან-საბა ორბელიანი, ოჯახში მიღებული განათლების შემდეგ, 21 წლის ასაკში შეუდგა სპეციალურად გალობის შესწავლას სათანადო სპეციალისტის ხელმძღვანელობით, შემდეგში მან თავის ბრწყინვალე ენციკლოპედიურ განათლებას თვითგანვითარების გზით მიაღწია. ის იყო ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწის, ვახტანგ VI-ის აღმზრდელ-მასწავლებელი.

აღნიშნული პერიოდის თბილისში არსებობდა სკოლებიც. XVIII საუკუნეში თბილისის სიონის ტაძართან არსებულ სკოლაში ასწავლიდა საეკლესიო მოღვაწე ისააკი (გარდაიცვალა, დაახლოებით, 1697 წ.), რომელიც ცნობილი ყოფილა აგრეთვე როგორც მრავალი საღვთისმეტყველო წიგნის გადამწერი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იყო კათოლიკე მისიონერების მიერ სკოლების დაარსება. პირველი კაპუცინები (კათოლიკური ბერების ორდენის წარმომადგენლები), რომლებმაც აქ სკოლა დააარსეს, თბილისში ჩამოვიდნენ 1662-1663 წლების მიჯნაზე. მათი მიზანი იყო კათოლიკობის პროპაგანდისტების აღზრდა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკური ეკლესიისადმი შეერთებისათვის ნიადაგის მომზადება. ამ მიზნისათვის აუცილებელი იყო ქართული ენის შესწავლა, რაც მათ მოკლე ხანში წარმატებით განახორციელეს. თბილისის ეს მისიონი აღმოსავლეთის მისიონებში ყველაზე უფრო ნაყოფიერად ითვლებოდა.

გაგრძელება იქნება

მოამზადა
ანა ფირცხალაიშვილმა

Ты будешь жить!

Полюбите же вместе с нами ту, о которой мы скажем сегодня. Полюбите и удержите её в своей памяти и в своих сердцах.

Большой кусок мела, направляемый чьей-то невидимой рукой, движется по чёрной блестящей доске, выводя на её глади каллиграфическим, как в прописях, почерком слова Габриэля Маркеса: «Любовь дарует бессмертие... произнося: «Я тебя люблю», – ты тем самым утверждаешь: «Ты никогда не умрёшь. Не умрёшь, пока я, любящий тебя, буду жить и помнить тебя».

Слова отделяются от доски, движутся вперёд и застывают в воздухе, они трепещут, пульсируют, кажутся выпуклыми, объёмными, живыми, их хочется подержать в ладонях, чтобы почувствовать тепло живой плоти. Затем на доске появляется прелестное лицо. Оно тоже отделяется от доски, движется вперёд и застывает в воздухе, и давно, с детства знакомый голос произносит: «Ты меня помнишь? Помнишь? Помнишь ...»

Что это? Это сон.

Памяти Софьи Михайловны Меликсетовой

(Сны, фантазии, реальность. Из бесед и воспоминаний)

Этот сон приходит ко мне всё чаще, каждый раз с теми же подробностями, в тех же деталях, разве что меняется место действия.

Огромной трагедией вторгся в мои ночные сны и бессоницы уход этого чудесного человека из жизни, а думы, вызванные её смертью, не оставляют меня и днём, заслоняя недомогания, болезни, собственные проблемы, неотложные дела. Не переставая, думаю о том, что связывало меня с ней, как вошла она в мою жизнь, в жизнь общих друзей, чем стала в моей и их жизни, в жизни города, который она любила так страстно и нежно, в жизни нашей республики. Для меня она была лучшим другом, для города и республики – одной из самых ярких словесниц. И вот её нет с нами. Нельзя поехать к ней, чтобы увидеть её, услышать милый голос, поговорить, поделиться впечатлениями, скажем, о новом фильме Н. Михалкова, послушать вместе свежие новости, подвигнуть её на написание новых стихов или статей.

О, если бы можно было остановить время или повернуть его вспять! «Но нету чудес, и мечтать о них нечего» (В. В. Маяковский).

Усилием воли заставляю себя открыть глаза, веки слипаются, голова клонится на грудь, хотя сон на этот раз не приходит. Сквозь дрёму вижу зал, где зрительские места расположены амфитеатром, оборудованный лучше даже, чем зал в фильме «Улыбка Моны Лизы».

Загорается фронтальный экран, на нём – лицо Софьи Михайловны, звучит её голос, наложенный на дивную незнакомую музыку, она обволакивает душу и сердце и теперь навсегда будет связана с памятью о Софье Михайловне. А на боковых экранах, и на настольных мониторах вспыхивают фрагменты из учительской деятельности Софьи Михайловны: она читает лекцию, проводит семинар, беседует с учениками, даёт установку к выполнению самостоятельной работы, занимается с отстающими.

Пульты управления на столах позволяют вызвать на настольных мониторах одну из программ цикла **Учитель**, сзязанную с С.М. Меликсетовой, включить видеоизображение и слушать сопутствующую ему информацию, никому не мешая. В зале тишина.

Что это? Это фантазия – реклама к голографическому фильму, посвящённому Софье Михайловне Меликсетовой, «А ты меня помнишь? Помнишь? Помнишь...». Фантазия, ибо нет пока, насколько я знаю, такого учебного зала ни в школах нашей республики, ни в школах на всей постсоветской территории. И не сложился обычай - отмечая юбилей выдающегося учителя, вот так, с помощью фильма, рассказывать о его творчестве.

Уход

Софья Михайловна Меликсетова ушла из жизни в ночь на 29 мая 2009 года, в своей квартире, в доме № 1 по переулку Амаглеба. День, предшествующий этой ночи, был необычайно душным, вечер не принёс облегчения, а ночью в город ворвался ураган. Он неистовствовал в узком переулке, метался от стены её дома к огромной глухой стене, выросшей буквально за несколько дней прямо против её окон. Она называла её «стеной-разлучницей», ибо та закрыла панораму, которой она привыкла любоваться: высокую гору, проложенную по её отрогам Комсомольскую аллею, на ней скульптурную фигуру Матери Грузии с чашей виноградного вина в одной руке и с мечом в другой. «Кто с мечом к нам придёт, от меча и погибнет» – грозное предупреждение тем, кто вступит на землю Грузии со злым намерением, символ ментальности, сочетающей в себе «романтическую мягкость» грузинского народа, щедрость и верность в дружбе, готовность «за други своя» жизнь положить, непримиримость во вражде, уникальную талантливость во всех областях искусства. Ночью, осеребрённая лунным светом, с нимбом вокруг высокого чела, созданным разреженным воздухом и подсветкой, статуя казалась «бессменным часовым, все ночи до зари» охраняющим покой города. Созерцание заменяло Софье Михайловне прогулки. Из-за тяжёлого увечья она не выходила на улицу в течение 19 лет.

В ту ночь ураган рвал плющ, карабкающийся по «стене-разлучнице», бросал его на землю, нападал на единственное в переулке дерево, растущее впритык к дверям квартиры Меликсетовой, ломал ветки, мял листья. Когда-то дерево посадили слишком близко к дому. Выросши, оно стало упираться ветвями в стёкла, будто хотело их выдавить и ворваться в комнату; ему не хватало жизненного пространства, и поневоле оно стало узурпатором, отнимая у хозяйки свет, а его и так не хватало, даже днём в комнате стоял сумрак. Ураган громыхал ставнями, гонял по асфальту какую-то жестяную коробку, выл, свистел, улюлюкал, гремел гром, вспыхивали синими зигзагами молнии. Может быть, потому никто из соседей не услышал её стонов, просьб о помощи, а скорее всего, их и не было. Она никогда никого ни о чём, тем более о помощи, не просила, не вешала на души друзей свои проблемы, не жаловалась, старалась всё делать сама, как бы трудно ей это ни было.

Утром ухаживающие за ней люди нашли её лежащей на полу уже без дыхания.

Что случилось в эту грозовую ночь, никто не знал. Скорее всего, она хотела встать, никак не могла поверить в свою беспомощность, в то, что паралич убил половину её когда-то красивого, сильного тела, твердила себе: «Встань и иди». Днём ее удерживали в постели, а сейчас никто не мешал, и она попробовала перебороть свою нынешнюю немощь.

Боялась ли она смерти? Больше смерти боялась болезни, боялась стать обузой, причинить друзьям, соседям беспокойство. Поэтому так мужественно сопротивлялась недугу, не смирялась с ним, противостояла ему. Только тогда, когда боли стали невыносимыми, впервые в жизни попросила, но о чём? О том, чтобы её усыпили.

Тихим пришло утро 29-го мая. Умер или умчался куда-то ураган и не появлялся больше. Скорбная группа людей стояла у её дверей, с утра до позднего вечера.

Последние часы её земного существования, последний земной путь. Тихий уголок сабурталинского кладбища. Скромный памятник с фотографией и двумя датами 1923-2009.

Всем нам хотелось бы видеть на камне хотя бы ещё одно слово «**Учителю**», но она просила ничего не писать, а воля умирающего должна быть выполнена обязательно.

«Странные в жизни бывают сближения». Рядом с могилой Меликсетовых похоронена Елена Константиновна Науменко на средства бывших её учениц – выпускниц 1949 года 4-й женской средней школы г. Тбилиси. Собранные деньги они вручили бывшему её ученику (к великому стыду адрес и фамилия потеряны), и он привёз из Еревана причудливой красоты камень и установил его на могиле любимой учительницы. Дай ему, судьба, долгие счастливые годы жизни! И на этом камне только фотография и фамилия умершей, даты рождения и смерти. Человек редчайшей скромности, она просила перед смертью о том же, о чём и Меликсетова. Они шли по жизни рядом, рука об руку, любя друг друга, удивляясь друг другу, поддерживая друг друга, учась друг у друга, и после смерти оказались рядом – молодая учительница и звезда первой величины в созвездии словесниц Майковой, Никифоровой, Сементовской. Их знали тогда все преподаватели русского языка и литературы. Опираясь на их опыт, оттачивали своё педагогическое мастерство, шлифовали свой талант такие учителя, как Абашидзе, Аргун, Ауце, Датешидзе, Джиоева, Каличава, Кириллова, Кинкладзе, Кириченко, Лемешко, Хачатуров, Элбакидзе.

Возможно, кто-нибудь из посетителей кладбища, случайно оказавшись в этом тихом его уголке, взглянув на даты рождения и смерти С.М. Меликсетовой, подумает: «1923-2009, 86 лет – целая эпоха. Подарил бы и мне Бог столько же!» Да, 86 лет – целая эпоха, но из них 19 лет не выходя из комнаты, передвигаясь на костылях, не имея ни близких, ни далёких родственников – учителю, привыкшему быть среди людей, окружённым детьми. **Учителю!**

А она **была** Учителем.

О том, **каким** была Софья Михайловна учителем, расскажут её коллеги, методисты, ученики, родители учеников, друзья. Выслушаем же их воспоминания.

Учитель

Ирина Фёдоровна Харалампова, преподаватель химии, до нынешнего года завуч средней школы №44 г. Тбилиси, где Софья Михайловна Меликсетова работала в последние годы своего учительства. Ирина Фёдоровна – прекрасный учитель.

«Софья Михайловна, – говорит И.Ф. Харалампова, – была превосходным учителем. По возрасту я могла бы быть её ученицей, но полный школьный курс литературы в её изложении мне выслушать не довелось: аттестат зрелости я получила в цалкской школе, диплом об окончании высшей школы – в Тбилисском Государственном политехническом институте.

Но мне всё-таки повезло. Вскоре после окончания вуза я стала работать в 44-й школе г. Тбилиси и получила возможность посещать её уроки. Какие это были разные и какие прекрасные уроки! И какими интересными в её подаче представали русские писатели, поэты, критики. Затаив дыхание, слушали учащиеся своего преподавателя, я же, ещё раз получала по литературе среднее образование. Уроки Софьи Михайловны посещала не только я. На открытых её уроках присутствовали словесники нашей школы и других школ г. Тбилиси. Методист ЦИУУ, тоже присутствовавший на уроках по творчеству А.А. Блока и любимого ею Маяковского, помню, сказал: «Это большое искусство – так много сказать и так сказать, чтобы всё дошло до умов и сердец всех и каждого». Опыт работы Софьи Михайловны по нравственному и эстетическому воспитанию учащихся литературы был рассмотрен на педсовете и одобрен. Я многому научилась у Софьи Михайловны и благодарю судьбу за то, что на заре моей учительской юности и во взрослой моей жизни она связала меня с этим прекрасным учителем».

Лили Александровна Мцариашвили, преподаватель русского языка как иностранного в средней школе №150, бывшая заведующая методкабинетом ОНО Дидубийского района г. Тбилиси.

«Для меня Софья Михайловна Меликсетова была олицетворением Учителя с большой буквы. Ум, талант, широкая образованность, великолепная память, разнообразие приёмов и методов обучения стояли за всем, что она делала в школе.

Она заявила о себе сразу же и смело циклом статей о нравственном воспитании молодёжи на уроках литературы, публиковавшихся в газете «Вечерний Тбилиси». Как большинство учителей-словесников и методистов, она была убеждена «в громадном воспитательном значении литературы, в её уникальной роли в процессе становления личности, её творческого потенциала и духовных устремлений». Статьи её дышали страстью человека уверенного в своей правоте: «Обобщающее значение художественного произведения обеспечивает ему возможность пережить своё время, сделаться достоянием других эпох, других стран, других народов, стать частью духовной жизни общества, и учитель должен довести это до сознания своих воспитанников». Самая яркая ее статья была посвящена учителям 3-й женской средней школы г. Тбилиси – тем, кто воспитывал сердце, растил душу, обогащал ум ученицы Софьи Меликсетовой, её пестунам и наставникам. Это была дань уважения, любви к людям-подвижникам. Когда она сама стала учителем, она поняла, что такое учительский труд, но не сошла с выбранной стези. Немногие из нас могут похвалить себя за то, что уже взрослыми людьми по-пушкински выразили благодарность тем, кто создал в них личность: *«Наставникам, хранившим юность нашу ... Не помня зла, за благо воздадим».*

Для Софьи Михайловны Меликсетовой характерным было постоянное стремление к совершенству. Она была неутомима в работе, никогда не останавливалась на достигнутом, постоянно искала наиболее рациональные пути обучения. Задолго до того как учителям литературы было предложено вместо традиционной урочной системы обучения перейти к лекциям, семинарам, надстроечным беседам, паузному чтению и инсценировкам, Софья Михайловна использовала в своей практике все эти приёмы.

Лекции её всегда имели внутренний стержень, соразмерность частей, чёткую их последовательность, эмоциональную окраску – словом, все те компоненты, которые должны быть присущи настоящей, хорошей лекции. Семинарские занятия она не пускала на самотёк: работала с докладчиком и оппонентами отдельно, не подменяя их мнений своими, а помогая найти истину.

А как успевала она пройти непомерно перегруженную программу? Вот потому-то и успевала, что форма учебного занятия, которую она выбирала для данного содержания была наиболее рациональной, рентабельной, как сказали бы экономисты. Она продумывала каждую деталь занятия. Ни одна минута учебного времени не пропадала у неё даром. Пустот на уроках не бывало, 45 минут она насыщала до предела. Поэтому не имела отставаний по программе, тем более непройденного материала.

Одним из серьёзнейших компонентов успеха в обучении литературе является развитие речи учащихся, Учеников Софьи Михайловны можно было узнать по их речи. Они не понукали самих себя междометиями «Ну! Ну!», не подстёгивали оборотом «И вот». Останавливаясь там, где останавливал их учитель, свободно, не сбиваясь, продолжали рассказ. Легко цитировали, будто не чужой текст говорили, а свой. И что, как я думаю, не так уж часто встречается в школе, любили читать критиков и литературоведов. И вообще её ученики – интересные люди».

Элеонора Слуцкая, инженер, ученица Софьи Михайловны, закончила среднюю школу №44 г. Тбилиси с медалью в 1955 году.

«*Теперь, оглядываясь назад, я иногда спрашиваю себя: «А не ошибаемся ли мы, не преувеличиваем ли? Была ли она действительно так очаровательна и блестяща?» Я любила её и восхищалась ею, её любили и восхищались ею все мои одноклассницы, а любовь помогает узнать человека до конца. Зинаида Гиппиус часто повторяла: «Когда любишь человека, видишь его таким, каким задумал его Бог». Возможно, нам всем, сквозь её земные оболочки просвечивал образ, задуманный Богом».*

Это не мои слова. Это перифраз слов, которыми открывает книгу «На берегах Невы» Ирина Одоевцева. Но мне они так нравятся и так точно выражают моё отношение тех лет к Софье Михайловне, что я решила привести их здесь. Лучше я сказать не сумею.

То хорошее, что видят во мне окружающие, – от неё. То, что я люблю книги, умею наслаждаться чтением, – от неё. То, что читаю вдумчиво и, смею надеяться, умею анализировать прочитанное, – тоже. То, что так часто отмечают во мне знакомые: грамотно пишу, не испытываю затруднений в адекватной передаче свох чувств, мыслей, переживаний, – тоже от неё и никогда не уйдёт от меня.

По утрам я часто ловлю себя на желании увидеть её во сне – в классе ведущей опрос всегда в доброжелательном тоне, с улыбкой удовольствия, если ответ хорош. Сама она говорила так, будто лексические запасы её были неисчерпаемы, и от нас добивалась точности и выразительности речи.

О её впечатлительности, способности сопереживать героям изучаемых произведений ходили легенды, и мы сами были свидетелями того, как глаза её наполнялись слезами, когда она читала нам диалог боярыни Морозовой со стражником.

«Подвал в городе Боровске. Стены увешены мохнатым инеем. Обледенелое окно под самым потолком. Нечистота, смрад. Боярыня тянется к окну, чтобы попросить стражника:

Дай мне хлебца, сынок.

Не велено, госпожа.

Ну хоть огурчика.

Не велено, госпожа.

Ну водицы испить.

Не велено, госпожа.

Ну хоть рубашку мою постирай.

И он, плача, стирал её рубашку».

Вячеслав Лазаревич Нуралов, бизнесмен, бывший преподаватель русского языка и литературы школы №108, г. Тбилиси.

«Я думаю, что наиболее точным определением учительских качеств Софьи Михайловны будет следующее: она была человеком высокой гуманитарной культуры. Гуманитарная культура - «это человекознание и человекосозидание».

Софья Михайловна умела в каждом из своих воспитанников увидеть потенциальные возможности и заботливо выращивала их, созидая человека».

Когда в заупокойных речах звучало слово «умерла», в памяти невольно всплывали слова героини горьковского романа «Мать» Наташи на похоронах старшего ее товарища Егоря Ивановича: «Что умерло? Разве умерло моё уважение, моя любовь к нему, товарищу, память о работе, мысли его, разве умерла эта работа, исчезли чувства, которые он вызывал в моём сердце, разбито моё представление о нём как о мужественном человеке? Разве всё это умерло? Это не умрёт для меня никогда, я знаю. Мне кажется, мы слишком торопимся, сказать о человеке - «он умер». Мёртвы уста его, но слово его вечно да будет жить в сердцах наших».

Да, будет жить в сердцах наших слово твоё, уважение наше к тебе, память о работе, чувства, которые ты в нас вызывала, дорогая Софья Михайловна! И пока мы живы, ты не умрёшь; не умрёшь и после. В памяти своей мы будем возвращаться к тебе; ты будешь жить в памяти детей наших, которым мы расскажем о тебе, внуков наших, которым наши дети расскажут о тебе. **Так и будет!**

И ты не умрёшь! Ты будешь жить!

Виолетта Ильинична Гаспаришвили
Заслуженный учитель Грузии , бывший инспектор-методист Министерства просвещения Грузии.

ძლევამოსილი ღვთისაგან – კალისტრატე ცინცაძე

კალისტრატე ცინცაძე,
საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1932-1952 წწ.

თბილისის 51- ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **დავით ლაგვილავა**) XIX-XX საუკუნეების დიდი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის, პედაგოგის და მკვლევარის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის კალისტრატე ცინცაძისადმი (1866-1952) მიძღვნილი ლიტერატურული ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიების ორგანიზატორები **რუსუდან მარკოზია** და **მანანა ნებიერიძე** იყვნენ. VIII-XII კლასების მოსწავლეებმა ისაუბრეს კალისტრატე ცინცაძის ბიოგრაფიის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, თუ როგორ იბრძოდა იგი საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის. წაიკითხეს პატრიარქის თანამედროვეთა მოგონებები: *„იგი დიდებული ადამიანი იყო, პატრიოტი, ისტორიის საეკლესიო მხატვრობის შესანიშნავი მცოდნე, მე ის ისე მომწონდა, რომ მისი სახე ფრესკაში ერთ-ერთ მოციქულად ჩავრთე“* – ლადო გუდიაშვილი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საპატრიარქოსა და განათლების სისტემის წარმომადგენლები.

რუსუდან მარკოზია, 51-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი: *„საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კალისტრატე ცინცაძისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის განსაკუთრებულად ვემზადებოდით. თითქმის ორი თვე მოვანდომეთ მასალების მოძიებასა და მომზადებას, მოსწავლეები გაეცნენ საარქივო მასალებს. აღსანიშნავია, რომ კალისტრატე ცინცაძის პირადი არქივი, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ მუზეუმში, 312 საარქივო საქმეს მოიცავს: ბიოგრაფიისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველ მასალას, შემოქმედებას, მოგონებებს, მიმოწერას, ფოტოებს და სხვ. მოსწავლეებმა დიდი ინტერესით შეისწავლეს პატრიარქის ცხოვრება და მოღვაწეობა. დღევანდელ ღონისძიებას ისინი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. ჩვენი ვალია, მომავალ თაობებს მოვუთხროთ ამ დიდებული ადამიანის ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ“.*

გიორგი სოფრომაძე, 51-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე: *„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ შექმნა საქართველოს საეგზარქოსო, რომელსაც ქართველი მიტროპოლიტის ვარლამ ერისთავის შემდგომ, რუსი ეგზარქოსები მართავდნენ. ისინი არ ითვალისწინებდნენ ქართულ ტრადიციებს, დევნიდნენ ქართულ ენას, ქართულ გალობას, შეურაცხყოფდნენ ქართველ წმინდანებს, მონასტრებიდან აძევებდნენ ქართველ ბერებს და მათ ადგილზე რუსებს ნიშნავდნენ.*

ყოველი ქართველისათვის სანუკვარი ოცნება იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში, ფართოდ ჩართეს ქართული სამღვდელოება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა განსაკუთრებით აინტერესებდა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ სამოღვაწეო ასპარეზზე დალოცვილ, კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულ კალისტრატე ცინცაძეს. თავისი მოღვაწეობის მანძილზე კალისტრატე ცინცაძემ ცხოვრების მიზნად დაისახა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა და აღდგენის შემდეგ მისი განმტკიცება. იგი ეპისკოპოს კირიონთან და ეპისკოპოს ლეონთან ერთად ქართველ საზოგადოებრიობას ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ამზადებდა. ვფიქრობ, ჩვენმა თაობამ აუცილებლად უნდა იცოდეს კალისტრატე ცინცაძის ღვაწლისა და ამაგის შესახებ, რაც მან საქართველოსთვის, მართლმადიდებლური ეკლესიისთვის გააკეთა. ჩვენი ვალია, მისი საქმე განვამტკიცოთ. აღსანიშნავია, რომ მისი დაწყებული საქმე შემდგომში გააგრძელა და ბოლომდე მიიყვანა ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. როცა ღონისძიებისთვის ვემზადებოდით, მე და ჩემმა მეგობრებმა კალისტრატე ცინცაძის შესახებ, არქივებიდან, უამრავი მასალა მოვიძიეთ. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ერთმა ისტორიამ: სამთავროში, ღვთის განგებითა და დედა ზოილეს წყალობით, შეხვედრიან ერთმანეთს საქართველოს ორი პატრიარქი – უწმინდესი კალისტრატე (ცინცაძე) და იმ დროს სამი წლის ირაკლი შიოლაშვილი, რომელსაც, ნათლიის შემწეობით, ლოცვა-კურთხევა მიუღია პატრიარქისგან. და აი, დღეს დიდი პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის მიერ დალოცვილი და მირონცხებული უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გვაფრთხილებს, სწორ გზაზე გვაყენებს, ძალას გვმატებს და ლოცავს ჩვენს სამშობლოს. ასეთი დიდი ადამიანების სახელებს დავიწყება არ უწერიათ“.

მამა გიორგი ყიფშიძე: *„დიდი მადლობა მოსწავლეებს, ქალბატონ რუსუდანს ჩვენი დიდი პატრიარქის გახსენებისთვის, მისი მოღვაწეობის დაფასებისთვის. ვისაც ოდნავ მაინც უყვარს სამშობლო და ეკლესია, ცრემლების, ემოციების გარეშე არ შეიძლება ასეთ ღონისძიებებს უყუროს. მოსწავლეების დაინტერესება მსგავსი ღონისძიებებით ნათელი მაგალითია იმისა, რომ საქართველოს და ქართველობას გადაშენება არ უწერია. მადლობა ამ თაობას, რომ ასე კარგად იცნობენ და აფასებენ ჩვენი წინაპრების ღვაწლს“.*

მამა ბესარიონ ცინცაძე: *„მოხარული ვარ, რომ დღეს ყველანი საინტერესო ღონისძიების მომსწრენი გავხდით. სასიამოვნოა, როცა ბავშვებისგან ისმენ დიდებული ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. კალისტრატე ცინცაძე გამორჩეული პატრიარქი იყო. იგი მოიხსენება როგორც პატრიარქთა პატრიარქი. ის იყო ერთობ განათლებული პიროვნება, შესანიშნავად იცნობდა როგორც ბიბლიას, ისე ეკლესიის მამათა წერილობით მემკვიდრეობას, სარწმუნოებას და ღვთისმეტყველებას, განმსჭვალული იყო სახარების სულით და ქრისტეს მოძღვრებას სიღრმისეულად მოიაზრებდა. მის ღვაწლს და ამაგს თაობებმა პატივი უნდა მიაგონ. დღევანდელ ღონისძიებაში ნათლად ჩანდა მოსწავლეების ამაღლებული დამოკიდებულება ჩვენი ეკლესიის, მართლმადიდებლობის მიმართ“.*

დავით ლაგვილავა, 51-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი სკოლის მოსწავლეებს და ღონისძიების ორგანიზატორს – რუსუდან მარკოზიას საინტერესო ღონისძიების ჩატარებისთვის. მოსწავლეებმა შესანიშნავად წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები. კარგია, როცა ისინი ჩვენი ღირსეული წინაპრების ცხოვრებითა და მოღვაწეობით ინტერესდებიან. ჩვენმა მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ კალისტრატე ცინცაძის ღვაწლისა და ამაგის შესახებ. ასეთი ღონისძიებებით მათ საშუალება ეძლევათ, გამოხატონ პატივისცემა და სიყვარული ჩვენი წინაპრების მიმართ“.*

კლარა ჩხაიძე, 51-ე საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი: *„მე კალისტრატე ცინცაძის მონათლული ვარ. კარგად მახსოვს ის დღე, როცა ჩვენთან კალისტრატე ცინცაძე მოვიდა. მაშინ გურიაში ვცხოვრობდით, მის დასახვედრად ჩემი მშობლები და ბებია გამორჩეულად ემზადებოდნენ. მოგეხსენებათ, იმ დროში ნათლობის რიტუალი საიდუმლოდ უნდა ჩატარებულიყო, ამიტომ ბებიაც ძალიან ფრთხილობდა, ჩვენი მონათვლის ამბავი არავის გაეგო. საღამო ხანს ჩვენთან კალისტრატე ცინცაძე მობრძანდა და ნათლობის რიტუალიც შედგა. ასეთ საიდუმლო ვითარებაში მოვინათლეთ მე და ჩემი ძმა.*

რაც შეეხება დღევანდელ ლიტერატურულ საღამოს, მსგავსი ღონისძიებების ჩატარება მოსწავლეებზე დადებით გავლენას ახდენს. მჯერა, ეს ბავშვები, რომლებიც ეზიარნენ პატრიარქის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, არასოდეს ჩაიდენენ ცუდ საქციელს. დიდი მადლობა მათ“.

მაკა ყიფშიანი

ლიტერატურული საღამო შთამბეჭდავი სცენებით

14 მაისს თბილისის 89-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **ნანა სოღაშვილი**) მეცხრეკლასელებს უჩვეულო მღელვარება ემჩნეოდათ (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – **მაია ადეიშვილი**).

დარბაზი სკოლის მოსწავლეებითა და მასწავლებლებით გაივსო. ლიტერატურული საღამო „სიყვარული გზად და ხიდად“ დაიწყო ჩანაწერით „მზეო თიბათვისა“, ჰამლეტ გონაშვილის შესრულებით. საღამოს უძღვებოდნენ: **დალი ბაკაშვილი** და **საბა კუჭუხიძე**. ქართველი და უცხოელი პოეტების ლექსებს სიყვარულის თემაზე ერთმანეთის მონაცვლეობით კითხულობდნენ: **ხატია ჩხვიმიანი, ანა ზარნაძე, სალომე ესეტაშვილი, ალბინა გილიგაშვილი, ნონა გვრიტიშვილი, სოფიო ჩუტკერაშვილი, აკაკი გაგოშიძე, ნიკა ხატიაშვილი**.

ულამაზესი კოსტიუმებით წარდგნენ მაყურებლის წინაშე რომეო (**საბა მჭედლიძე**) და ჯულიეტა (**გვანცა მაწიაშვილი**). შთამბეჭდავი იყო კონსტანტინე არსაკიძისა (**დავით მჭედლიძე**) და შორენა კოლონკელიძის (**მარიამ ვარდოსანიძე**) ტრაგიკული სიყვარულის ამსახველი სცენა.

აკაკი გაგოშიძის, დავით მჭედლიძის, გიორგი ბერიშვილისა და **ირაკლი კანდელაკის** ძალისხმევით გაცოცხლდა კადრი ქართული მხატვრული ფილმიდან „ქეთო და კოტე“. საღამო გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზით“ დასრულდა. დაუვიწყარია **ქეთევან ბერიძის** მიერ შესრულებული სიმღერები, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მის მიერ დაწერილმა სიმღერამ.

დრომ შეუმჩნევლად გაირბინა, ამ საღამომ ბევრს ახალგაზრდობა გაახსენა. პედაგოგმა ნ. ივანაურმა აღნიშნა, რომ ამ საღამომ მოსწავლეები ბევრ რამეზე დააფიქრა, სცენიდან ჩამოსულებს თითქოს ასაკიც მომატებოდათ, უფრო დაფიქრებულები ჩანდნენ. სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორ პედაგოგს, მაია ადეიშვილს და ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებს: *„ეს საღამო არასოდეს დაავიწყდებათ მონაწილეებს. ასეთი ღონისძიებები ბავშვებს კარგ მოტივაციას აძლევს იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტი წაიკითხონ და ისწავლონ.“*

დარბაზში ტაში არ წყდებოდა. მოსწავლეები გახარებულები და ბედნიერები იყვნენ. მაია მასწავლებელი მათ კიდევ ბევრ საინტერესო ღონისძიებას დაჰპირდა.

ლალი ტოკლიკიშვილი
დირექტორის მოადგილე
აღმზრდელობით დარგში



შტრიხები პორტრეტისთვის

ირაკლი ფარჯიანი – 60

ირაკლიმ, ჩვენმა თანამედროვემ (შეიძლება ახალი თაობისთვის ის იმდენად ცნობილი არ არის და ძალიან შორეული წარსული ჰგონიათ, მაგრამ ჩვენთვის ეს აწმყოა, ყოველ შემთხვევაში – ჩემი თაობის აწმყო) იმ რთულ დროს, იდეოლოგიური ზეწოლის, ძალიან ბევრი აკრძალვის, ძალიან ბევრი დეფიციტის პირობებში, ყველა ამ სირთულის მიუხედავად, შეძლო, ეპოვა საკუთარი თავი და ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით არ ეღალატა საკუთარი პრინციპისთვის და მრწამსისთვის.

21 წლის იყო, როცა უდიდესი სულიერი ტრავმა მიიღო. ასეთი ტრავმა ძლიერ პიროვნებას ან ძალიან ბევრს შესძენს ან პირიქით, დათრგუნავს და გაანადგურებს. ირაკლის პირადი მაგალითი ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობისთვის, რომ მათ დეპრესიაში კი არ ჩაიგდონ თავი, არამედ გადალახონ სირთულეები და დაძლიონ ის პრობლემები, რაც მათ წინაშე დგას, რადგან ღმერთს, განგებას (რაც გნებავთ ის დავარქვათ) ამ განსაცდელით უნდა, მათგან რაღაც კარგი გამოადნოს, ანუ იმ კარგმა და დადებითმა, რაც ადამიანშია ჩადებული, სირთულეებთან ბრძოლის შედეგად უნდა იჩინოს თავი. ასე რომ, ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ირაკლის მაგალითი. მე არ მალაპარაკებს მეუღლის განდიდების სურვილი, ეს არასოდეს მდომებია და არც დღეს მინდა, არამედ ის, რითიც მე დღემდე ვარ აღტაცებული, აღფრთოვანებული და განცვიფრებული. გაოცების შეგრძნება ირაკლის გაცნობის პირველი დღიდან დღემდე არ მშორდება. აი, ეს არის ყველაზე დიდი განცდა ირაკლის მიმართ – საოცარი გაოცება.

ასმათ ფიცხელაური-ფარჯიანი

მახსოვს, მუშაობის დროს უცებ იტყოდა: ახლა უნდა ვიფიქრო და მეორე ოთახში გადიოდა. გარკვეული დროის შემდეგ გამოდიოდა და, ალბათ, ახალი ენერგია, ახალი იდეები გამოჰქონდა.

სახელოსნოში მაქვს ირაკლის პალიტრა და მისი ბოლო ტილო, რომელიც ყვითელი ფერისაა და ერთი წითელი მონასმი აქვს გაკეთებული. ეს მისი ბოლო მონასმია. სულ ვფიქრობ, ნეტავ, რის დახატვას აპირებდა? ვფიქრობ, უფრო ხარების.

მამა მახსოვს ძალიან უშუალო, ბავშვური და ძალიან თბილი, ამავე დროს, ძალიან მკაცრიც. ხანდახან უზომოდ მკაცრიც იყო, მერე ამ სიმკაცრეს ყოველთვის გვიხსნიდა – რატომ და რისთვის. მე პატარა ვიყავი და, რა თქმა უნდა, ჩემ მიმართ სიმკაცრეს არ იჩენდა, ძირითადად, ჩემს ძმაზე იყო გადართული.

რაც უნდა დიდი დრო გავიდეს, არასოდეს დამავიწყდება, ალბათ იმიტომ, რომ ირაკლის სამყაროში ვცხოვრობ, მისი ნახატების გარემოცვაში, რომელშიც მამას სულია ჩაქსოვილი, მის ატმოსფეროში. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მისი არსი მუდამ აქ არის. განწყობა მის მიმართ ისეთივე მაქვს, როგორც ბავშვობაში, რადგან მაშინ მიღებული შთაბეჭდილებით შემექმნა და არ შეცვლილა. ხანდახან გამიჯვნა ხდება: ირაკლი ფარჯიანი – მხატვარი, ირაკლი ფარჯიანი – მამა. ჩემთვის ირაკლი ყოველთვის მამა იყო და ძალიან მენატრება, როგორც მამა. ხშირად უკითხავთ, რა გერჩივნა, ყოფილიყო ცოცხალი და არა ასეთი ცნობილი თუ ისე, როგორც არის. ალბათ ეგოისტური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მერჩივნა, მამა ჩემ გვერდით ყოფილიყო. მისი ნახატები ჩემთვის ძალიან მშობლიური და ახლობელია, ანუ მამაა ამ ნახატებში. ამიტომ, როცა მეკითხებიან, თუ რას ვფიქრობ მის ნახატებზე, მიჭირს პასუხის გაცემა. როგორც მხატვარს, ამის აღქმა არ შემიძლია. ვხვდები, რომ ეს სამყარო განსხვავებულია, ვხვდები, რომ არაფერს არ ჰგავს, მაგრამ ჩემთვის ეს მშობლიური გარემოა, არ არის ნახატი, არ არის ტექნიკა, არ არის ის, რასაც ხელოვნებათმცოდნე აღწერს. ირაკლი, თავისი საღებავების სუნით, ჩემი სამყაროა, რომელშიც ბავშვობიდან ვცხოვრობ. ალბათ, ცოცხალი რომ ყოფილიყო, მეტს ვერც გააკეთებდა. უცნაურია, მაგრამ მის არყოფნას ვერც ვგრძნობ. მის ნახატებში მისი სულია, ის ყოველთვის ჩემ გვერდითაა.

ბევრი წინააღმდეგობა შემხვდა, აკადემიაში რომ ვაბარებდი. ასეთი ფრაზაც მახსოვს: საქართველოს ერთი ფარჯიანიც ეყოფაო. მეკითხებოდნენ, რატომ გადაწყვიტე აკადემიაში ჩაბარება, მამამ განაპირობა თუ არა? ბოლოს ძალიან დავიღალე და ვუთხარი, რომ არაფერმა არ განაპირობა, არაფრის ამბიცია არ მაქვს, უბრალოდ, ჩემი საყვარელი საქმე მინდა ვაკეთო. არჩევანის წინაშე – მხატვარი გავხდე თუ სხვა საქმე ავირჩიო – არც ვყოფილვარ. მხატვრობა ჩემს ცხოვრებას ბავშვობიდან ლაიტმოტივად გასდევდა, ეს ჩემი ცხოვრებაა. მე არ ვიფინები, ეს არ არის პროფესია, რომლითაც მინდა, ცნობილი გავხდე ან შემოსავალი მქონდეს. ერთი ან ორი კვირა რომ გადის და თუნდაც უბრალო მონასმი არ გამიკეთებია, საშინელ ხასიათზე ვდგები, დეპრესია მეწყება და, რომ დავფიქრდები, რა მჭირს, ვხვდები, დიდი ხანია არ მიხატია – ავდივარ სახელოსნოში და ვხატავ.

სოფიო ფარჯიანი

ბოლოს, საავადმყოფოში რომ გადაგვყავდა, მზერა მიმოავლო ირგვლივ და თქვა: აქ მე ვეღარ მოვბრუნდებიო. ასეც მოხდა. 19 დღე საავადმყოფოდან არ გამოვსულვარ, მის გვერდით მეძინა. ზოგჯერ წუხდებოდა კიდეც, მაგრამ არ მაღვიძებდა, იცოდა, რომ ძილი მაკლდა. მაშინ ძალიან ბევრს ვსაუბრობდით უამრავ თემაზე.

პიკასოს აქვს ნათქვამი: ყველაზე მეტად ხატვის ცოდნის მოცილება მიჭირსო. ეს წინააღმდეგობა მაშინ იჩენს თავს, როცა შემოქმედი მაღალ ეტაპზე გადის. ეს მომენტი ირაკლის ძალიან სერიოზულად ჰქონდა. ის მეტაფიზიკური ლანდშაფტები ამის მაგალითია. მახსოვს, პირველი დღე იყო ირაკლის გარეშე, შევხედე ამ ლანდშაფტებს და სულისშემძვრელი აზრი დამებადა, რომ მას ეს ყველაფერი ნანახი ჰქონდა. ეს იქაური ლანდშაფტი იყო, არაბუნებრივი, არალამაზი, მაგრამ საოცრად ჰარმონიული. ნამდვილად დანახული ჰქონდა. რას ნიშნავს ეს დანახული? იცოდა ხოლმე ვიღაცის ნამუშევარზე თქმა, ეს მართალი არისო, ნამდვილი. რას ნიშნავს ეს ნამდვილი? – ვკითხე ერთხელ. რას ნიშნავს და ეს ამ კაცს აშკარად დანახული აქვსო. ეს ბავშვებს ახასიათებთ, იმდენად უშუალოები არიან. როდესაც ადამიანი ამას ცნობიერად მოახერხებს, უმაღლესი რანგის ხელოვანია.

ირაკლის ჰქონდა ასეთი ეპიზოდი ცხოვრებაში. ერთ-ერთი ექიმის მკაცრი განაჩენის შემდეგ (ასეთი პოტენციის ადამიანს, რომელსაც უამრავი რამ ჰქონდა გასაკეთებელი, უთხრეს, ყველაფერი დამთავრდაო) სამი დღე კედლისკენ გადატრიალებული იწვა, არ ეძინა. მოგვიანებით მითხრა: სამი დღე სადღაც, აბსოლუტურ სიცარიელეში ვიყავიო... მესამე დღეს, შორიდან თითქოს ზარის რეკვა შემომესმა, რომ მივაყურადე, თითქოს არაფერი, მერე ისევ, ნელ-ნელა მოიმატა ხმამ და მომიახლოვდაო. ჩემ მიერ გაკეთებული სახარების ფრაგმენტები დავინახეო. ამან მისცა ძალა, წამომდგარიყო და ეხატა. სამი დღე ისეთ ადგილას იყო, სადაც არც დრო და არც სივრცე არ მუშაობს. ამის მერე კიდევ იმდენი განსაცდელი გაიარა, რომ, შეიძლება ითქვას, ლანდშაფტების სერია, რომელიც გააკეთა, მართალია, ნანახი ჰქონდა. ბოლოს სახარებაზე ტუშით უნდოდა ემუშავა. მომიტანა ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზეც შტრიხები ჰქონდა გაკეთებული და მითხრა, ასეთი მინდა გავაკეთოო. რაღაც სხვანაირი შრტიხი ჰქონდა, თითქოს სუნთქავდა.

ამის შემდეგ მოხვდა საავადმყოფოში. იქ თქვა: მე მუშაობა დავამთავრეო. გამხნევებას ვცდილობდი, მაგრამ ხელი გაიქნია და მითხრა, არა, მე ვეღარ დავხატავო. სამწუხაროდ, ასეც მოხდა.

ალექსანდრე (ანზორ) მიქაძე
მხატვარი

რა თქმა უნდა, ჩვენთვის უდიდესი შოკი იყო, ირაკლი რომ ძალიან ახალგაზრდა დავკარგეთ, როგორც ადამიანი და მეგობარი, მაგრამ გული არ მწყდება იმ თვალსაზრისით, რომ წავიდა და რაღაც ვერ მოასწრო. ხომ სასაცილო იქნება, ჯორჯ ბაირონზე, რომელიც 36 წლის წავიდა, ვთქვათ, რომ რაღაც ვერ მოასწრო. მეტი რა უნდა მოესწრო?! ირაკლის მიმართაც ასეთივე შეგრძნება მაქვს. ის მემკვიდრეობა, ის ნამუშევრები, რაც მან დატოვა, სავსებით საკმარისია, ამაზე მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა. თუმცა, რომ ეცხოვრა, ვინ იცის, შემოქმედებას ხომ საზღვარი არ აქვს.

სავსებით შეგნებულად, გაცნობიერებულად შესწირა თავი მხატვრობას. არაერთხელ იყო გაფრთხილება და რეკომენდაცია ექიმების მხრიდან, რომ არ უნდა ესუნთქა საღებავები, არ უნდა ეშრომა. მაგრამ მან არჩევანი მხატვრობის სასარგებლოდ გააკეთა. ერთადერთი, რაზეც ნამდვილად მწყდება გული არის ის, რომ მას პატრიარქისგან ჰქონდა შეთავაზება სიონის მოხატვის და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ დათანხმდა. ეს, ალბათ, სიქსტის კაპელის მნიშვნელობის მოვლენა იქნებოდა. მისი ჯანმრთელობა ამის საშუალებას არ აძლევდა და ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული.

შემთხვევით არაფერი ხდება. ალბათ, არც ის იყო შემთხვევითი, რომ სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როდესაც თბილიში პირველი ჭურვები აფეთქდა და სამოქალაქო ომი დაიწყო. სიკვდილს ძალიან ვაჟკაცურად შეხვდა. მე ამის მომსწრე ვარ და დანამდვილებით შემიძლია ვთქვა. იცოდა, რომ მიდიოდა, მაგრამ ეს არავის უგრძვნია.

...იყო ასეთი ქვეყანა – საქართველო და არის, იყო ასეთი მხატვარი – ირაკლი ფარჯიანი და არის.

ლალი კერესელიძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, შექსპიროლოგი

მისი შემოქმედება მარტო მისთვის არ იყო და არც თავის გამოსაჩენად ან სახელის დასატოვებლად, ყველასთვის იყო. ეს უთქვამს კიდეც. სწორედ ეს კაცთმოყვარეობა ახატინებდა. მისი სახარების თემაზე შექმნილი რელიგიური სურათები მართლაც საოცრებაა. ხომ დაზგური სურათებია, დაზგური ფერწერის ყველა პრინციპია დაცული, მაგრამ იმდენად ღრმა სარწმუნოებრივი და სულიერი ძალითაა დახატული, რომ ხატვის ძალას იგრძნობ. რა თქმა უნდა, მისი ნამუშევრები არ არის სალოცავი ხატი, მაგრამ ისეთი ძალა აქვთ, ისეთი სინათლე იღვრება და ისე შეყავხარ ნამუშევარში, თითქოს ეს თავად ლოცვებია ღვთისადმი აღვლენილი. თუნდაც, ბოლოდროინდელი აბსტრაქციები რა არის?

რამდენჯერაც საავადმყოფოში იწვა თუ აბასთუმანში იყო, არც ერთხელ ბოლომდე არ მიუყვანია მკურნალობა. ვეღარ ითმენდა. ბოლოს არჩევანი მხატვრობაზე გააკეთა. აბასთუმნიდან წერდა: *ლუკას სახარების დასურათებაზე ვფიქრობ და სხვანაირ სიმწიფეს ვგრძნობ, ალბათ, ამით შემიძლია გავამართლო აქ ყოფნა და სხეულზე ფიქრი. ძალიან მინდა გამოვჯანმრთელდე არა იმიტომ, რომ გადავრჩე, არამედ იმიტომ, რომ ჯანმრთელი ვიყო და ვიმუშავო.* არჩია, დარჩენილი დრო ემუშავა. იმ პერიოდში ძალიან ხშირად დავდიოდი მასთან, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად იყო, რაღაც სიმსუბუქე ჰქონდა, სულ ხუმრობდა, მუშაობდა და მუშაობდა.

ბოლოს, საავადმყოფოში რომ დააწვინეს, დაგვირეკეს და მე და ჩემი მეუღლე მივედით. ასმათი გარეთ დაგვხვდა და მითხრა, წამოდი, ირაკლის გაჩვენებ, მერე ვეღარ ნახავო. შევედი და ვხედავ, ჟანგბადის ბალიშით სუნთქავს, მოიშორა და გამომხედა. ასეთი სახე ფრესკაზე თუ მინახავს – უზარმაზარი თვალები, ძალიან გამხდარი, შუაზე გაყოფილი თმა. ვუთხარი, ირაკლი, რა ლამაზი ხარ, ფრესკას გავხარ-მეთქი. აბა, მომიტანეთ სარკე, თქვა ხუმრობით, ჩაიხედა და... ხო, თმები ასე არ ვარგაო და გვერდზე გადაიწია. ძლივს ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც მოცინარი იყო და ჩვენ ცრემლებს ძლივს ვიკავებდით. ძალიან გამეხარდაო, მაგრამ მთხოვა, წავსულიყავი, გადავეხვიე და წამოვედი. მეორე დღეს უკვე აღარ იყო.

ახარა...

და გაფრინდა

აბსტრაქცია

ირაკლიზე რომ ვფიქრობ, რაც დრო გადის, შორს კი არ მიდის, თითქოს უფრო ახლოს მოდის მისი სული. მუდმივად მაქვს კონტაქტი – სახლში მისი ნახატები მაქვს, ვუყურებ ჩემს სახეს მის მიერ დახატულს, მის ოჯახთან მაქვს კონტაქტი არა მარტო მე, ჩემი ოჯახის წევრებსაც, ჩემი მეუღლე ხშირად მარტო მიდის ირაკლის საფლავზე ან ასმათს გაუვლის და ერთად მიდიან ხოლმე. შეიძლება ითქვას, რომ ირაკლისთან ერთად ვცხოვრობთ. რაც დრო გადის, სულ უფრო გასაგები და ახლობელი ხდება. ბევრ რაღაცაში მეხმარება კიდეც, მაშინ შეიძლება სულიერად უმწიფარი ვიყავი და იმდენად ვერ ვგრძნობდი მის მნიშვნელობას. არიან ნიჭიერი შემოქმედები, მაგრამ არიან ჩაკეტილები, არავის არ აჩვენებენ ნამუშევრებს და არ უზიარებენ აზრებს. ირაკლი თუ რამეს აღმოაჩენდა, გინდა მხატვრობაში, გინდა ცხოვრებაში, გიზიარებდა. ალბათ, ეს ერთგვარი სიყვარულია, რაც მის ნამუშევრებსაც ეტყობა. იმდენად დადებითი იმპულსი მოდის, რომ დადებითი ემოციით გავსებს. ამიტომაც უყვარდა ყველას ირაკლი. მართლაც ნიჭია, როცა ასეთი სიყვარული შეგიძლია, ასეთი შენდობა შეგიძლია, გახსნილი ხარ და თან ამდენს მუშაობ, შენს სულიერებას ავითარებ. ეს ყველაფერი ერთად შერწყმული, თან ნიჭიერება და ოსტატობა იმას გაძლევს, რომ ასეთ შემოქმედებას, ასეთ ნათელ მხატვრობას ტოვებ.

თამარ ხუნდაძე
ხელოვნებათმცოდნე

ირაკლის შემოქმედების ძირითადი შტრიხები უკვე მაშინ იკვეთებოდა, როცა გავიცანი. ეს, დაახლოებით, 1977-78 წლები იყო. ასმათი, მისი მეუღლე, ჩემი სტუდენტი გახლდათ. ირაკლიმ და ასმათმა ერთმანეთი ჩემს სახლში გაიცნეს. ორივე ძალიან მიყვარდა, მაგრამ ასმათი უფრო დამიახლოვდა.

გაცნობისთანავე შინაგანად მიეჯაჭვნენ ერთმანეთს. მე კი არ მინდოდა, რომ ასმათი ირაკლის გაყოლოდა. ალბათ, დედის პოზიცია მქონდა, რადგან ირაკლი ძალიან რთული პიროვნება გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით გამოირჩეოდა, რთული ხასიათის ადამიანი იყო, რთული ვითარება ჰქონდათ ოჯახში და ა.შ. ვიცოდი, ასმათს ძალიან მძიმე ტვირთი დააწვებოდა. ირაკლიმაც იცოდა, რომ მაინცდამაინც მხარს არ ვუჭერდი მათ ქორწინებას და, მგონი, ერთი პერიოდი ნაწყენიც იყო ჩემზე. მაგრამ მათი ბედი, როგორც ამბობენ ხოლმე, ცაში იყო გადაწყვეტილი და შეუღლდნენ. და ახლავე მინდა გითხრათ, ირაკლი ფარჯიანმა 1991 წლამდე რომ იცოცხლა, ეს ასმათის დამსახურებაა. ამ ათი წელიწადისთვის საქართველომ მადლობა უნდა უთხრას ასმათ ფიცხელაურ-ფარჯიანს. მას არც ერთი წუთი და საათი არ უცხოვრია თავისთვის. აცოცხლა ქმარი, რომელიც იმხანად უკვე სერიოზულად იყო ავად. აქ ჩვეულებრივი ძალისხმევით არაფერი გამოვიდოდა, ირაკლის გვერდით უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელიც დღედაღამ მასზე იფიქრებდა. ასმათი დღედაღამ ფიქრობდა ირაკლის სულზე და მის ჯანმრთელობაზე. დღედაღამ წამლებს ეძებდა, მთელი საქართველო და გერმანია შეაჯერა, თუკი რაიმე სამკურნალო წიგნი იყო – ოფიციალური და არაოფიციალური მედიცინა, ფიტოთერაპია. ვისთან აღარ ჰქონდა კავშირი, რას არ აკეთებდა. ეს იყო წარმოუდგენელი, რასაც მე ვუყურებდი და რაც ჩემს სიახლოვეში ხდებოდა.

ირაკლი ამას აფასებდა. მას სხვადასხვა სანატორიუმებში უხდებოდა ყოფნა. ასმათი მიყვებოდა ხოლმე, დააბინავებდა, მერე ბავშვთან ბრუნდებოდა და იყო ასე გადებული ქმარსა და შვილს შორის. ვფიქრობ, ის არის სამოქალაქო გმირობის, ადამიანური გმირობის, ქალური გმირობის მაგალითი. ძალიან ბევრი პრობლემა ჰქონდათ – არც ფინანსურად ულხინდათ, არც არანაირად, ბინის პრობლემა ჰქონდათ და, მიუხედავად ამისა, ეს ადამიანი ცხოვრების ყველა დარტყმას არაჩვეულებრივად მშვიდად და მყარად იღებდა თავის თავზე, ფარივით იყო ჩამდგარი ირაკლისა და ცხოვრებას შორის. ერთხელ ირაკლიმ ტელეფონით დამირეკა აბასთუმნიდან და მე ვუთხარი: ასმათი იყო ჩემთან, გელოდა, გელოდა, მაგრამ აღარ შეიძლებოდა, ბავშვთან უნდა წასულიყო და თვალცრემლიანი წავიდა, რომ არ დარეკე-მეთქი (მაშინ თბილისიდან აბასთუმანში ვერ ვრეკავდით). და ირაკლის აღმოხდა: „ვენაცვალე... ეგ ხომ სულ მელოდება და ხომ სულ დამელოდებაო“. მისი ხმა ახლაც ყურებში მიდგას. ასეთი ურთიერთობა ჰქონდათ – ძალიან სავსე და ინტენსიური, ერთდროულად ძალიან მწუხარე და ძალიან ბედნიერი. ამ ურთიერთობამ შექმნა ორივე.

უნდა გითხრათ, რომ ასმათი ირაკლიზე არანაკლებ ნიჭიერი



ოდისეა

ადამიანია. ჩემი სტუდენტი იყო და ამიტომ ვიცი მისი შესაძლებლობები – ეს არის ძალიან საინტერესო და კარგი გერმანისტი, მთარგმნელი, განათლებული ადამიანი, რომელიც სულიერად სულ ვითარდებოდა და ვითარდება. ეს ორი ადამიანი ერთმანეთს ზრდიდა. ამ თვალსაზრისით ნამდვილი კავშირი იყო. ასმათს შეეძლო კარგი წიგნები დაეწერა და ბევრი რამ ეთარგმნა, განსაკუთრებით – სულიერი სიფაქიზის თვალსაზრისით ძნელად სათარგმნი წიგნები, მაგრამ თავისი შესაძლებლობების მინიმუმს ახორციელებდა იმიტომ, რომ ირაკლის ჰქონოდა სრული თვითრეალიზაციის პირობები. მერე ბავშვი გაჩნდა და მათ ცხოვრებაში პრობლემა პრობლემას ემატებოდა. ძლივს შეიძინეს ბინა და როცა ირაკლი გარდაიცვალა, ამ მხრივ მაინც იყო მშვიდად, ცოლ-შვილს ბინა და სახელოსნო რომ დაუტოვა.

ბოლოს, როდესაც ძალიან ცუდად გახდა, საავადმყოფოში გადაიყვანეს, 1991 წელი ილეოდა, არც ტრანსპორტი იყო ქალაქში, არც შუქი, თბლისში ჯოჯოხეთური დღეები იდგა. მახსოვს, ძლივს მივაღწიე საავადმყოფომდე. სახლში ღვთისმშობლის საოჯახო ხატი მქონდა, რომელიც ჩემი მეუღლის, გივი მარგველაშვილის ოჯახს ეკუთვნოდა – ძველი, გაცრეცილი, ხეზე ნახატი ღვთისმშობელი, რომელსაც ავადმყოფს აძლევდნენ და ხელში უნდა სჭეროდა ან თავისთან ახლოს დაედო. საავადმყოფოში რომ მივედი, ეს ხატი მივუტანე ირაკლის. ეძინა. მისი მეგობარი ანზორი დამხვდა და მითხრა, გავალვიძებო. არ გავალვიძებინე, ვთხოვე, ხატი ახლოს დაუდე და უთხარი, რომ მე მოვუტანე-მეთქი. რომ გაუღვიძია, უსაყვედურია, რატომ არ გამაღვიძეო, რადგან ნაირამ მოიტანა, ამ ხატს ალბათ ძალა ექნებაო. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი, ირაკლი ძალიან მშვიდად გარდაიცვალა, სახეზე ღიმილით. თვითონ ავადმყოფობის პერიოდში, რა თქმა უნდა, ძლიერ იტანჯა, მაგრამ გარდაცვალების დროს არ უწვალია.

ნაირა გელაშვილი
მწერალი, გერმანისტი

იმ ხელოვანთაგან, რომელნიც ადრე მიდიან, ალბათ მარად ახალგაზრდულ სიხალასეს მოითხოვს განგება. მათ შემოქმედებას, მათ ქმნილებებს დაღლილობის ნიშანწყალიც კი არ ეტყობა. საქართველოში, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, ალბათ, პოეზიის ახალგაზრდული მარადიულობა მაინც ნიკოლოზ ბარათაშვილი გახლდათ. მხატვრობაში კი ირაკლი ფარჯიანი – ჩემი უფროსი ძმა, საყვარელი მეგობარი და დიდი მხატვარი.

ირაკლის შემოქმედებას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ქართული ხატწერის უშორესი და ულამაზესი ტრადიციის სიბრძნეში.

ეს არის მისტიური თვითგარინდება – თვითჩაღრმავების საუკუნოვანი ტრადიციებიდან რომ იკვებება და ასევე ივსება, ნაყოფიერდება თანამედროვე მხატვრობის, სახვითობის კონცეფციურ-სტილისტური მეთოდებითა და ხერხებით, რაც ირაკლი ფარჯიანის ხელოვნებას, მე ვიტყოდი სამარადჟამოდ თანამედროვეს ხდის. ასე რომ მისი წარმოუდგენლად დამაჯერებელი, განუმეორებელი ხატოვანება გახლავთ ნაერთი ტრადიციის სიბრძნისა და დღევანდელობის ცხოველმყოფელობისა.

ირაკლი ფარჯიანი ამ ცხოვრებიდან 41 წლისა წავიდა. მის სულში მოკაშკაშე მზე დილის იმპულსებით ძალუმად სხივოსნობდა, რაც არაჩვეულებრივი ძალით აისახა მის ბოლო ქმნილებებში, გრაფიკულ ოპუსებში, რომელიც მან უკანასკნელ ზაფხულს შექმნა მანგლისში მანამდე კი, მართლაც გენიალურ ჯვარცმა-ხარების ციკლებში.

ირაკლი წარმოადგენდა შუა საუკუნეების სვან ხატმწერთა დიდ ოჯახს, ლატალელ ფარჯიანთა გენეტიკური ტალანტის სრულ კვინტესენციას. ირაკლის სულში ღრმად და ძალუმად ცოცხლობდა ხატწერის, კერძოდ, სვანური ხატწერის განუმეორებელი ტრადიციები. მხატვრის მართლაც არაჩვეულებრივი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფიგურები მოზრდილი თავებით, საოცრად მეტყველი ფართოდ გახელილი თვალებით, ამ უღრმეს, სისხლში გამჯდარ შემოქმედში ტრადიციის გამოხატულება გახლავთ.

მხატვრობაში საკუთარი ტიპაჟის, საკუთარი განუმეორებელი სახის საკითხი, ირაკლი ფარჯიანამდე არავის არც დაუყენებია და არც გადაუწყვეტია ესოდენ მხატვრული დამაჯერებლობითა და სტილური მთლიანობის განცდით.

ირაკლის შემოქმედება ეს არის ამაღლებული სიმფონია არაჩვეულებრივი სახოვანებისა და მხატვრულობის, სითბოსა და სიყვარულის, სიკეთის და თავდადების.

გია ბუღაძე
„ჩვენი უკვდავი თანამედროვე“
ამონარიდი

ნავები

ქართულ გარემოსთან ინტეგრირების სურვილით

უკვე მრავალი წელია, რაც ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა **ეთერ სიმონიშვილმა** თავისი მოწოდება არაქართველი ბავშვებისათვის ქართული ენის შესწავლაში იპოვა.

ჯერ იყო და, ქვემო ქართლში, აზერბაიჯანულ სკოლებში ასწავლიდა ქართულ ენას და მრავალ იქაურ ბავშვს აადგმევინა ენა ქართულად. ის კი არა, ერთ-ერთი მოსწავლე ბაქოში წავიდა და იქ შეუდგა ქართული ენის პედაგოგობას ქალბატონ ეთერ სიმონიშვილის კონსულტაციების მოშველიებით.

ამჟამად ქალბატონი ეთერი სოფელ მსხალდიდის საბაზო სკოლაშია და იქაურ ბავშვებს ასწავლის ქართულ ენას.

მსხალდიდელ პატარებს, როცა სკოლაში მიდიან, ძალიან უჭირთ ქართულ ენაზე წერაც და საუბარიც, რადგან სოფელშიც და ოჯახშიც აზერბაიჯანული გარემო აქვთ – მსხალდიდში მხოლოდ აზერბაიჯანელები სახლობენ. ეთერ სიმონიშვილმა გადაწყვიტა, რომ ეს პრობლემა სათავეში უნდა გასწორდეს, თორემ მოგვიანებით ჩიჩინი იმის თაობაზე, რომ ქართული ისწავლონ, ხშირ შემთხვევაში, უშედეგოა...

ამიტომ ქალბატონი ეთერი დაწყებითი სწავლების მეთოდიკას ჩაუღრმავდა და პირველკლასელ აზერბაიჯანელებთან დაიწყო მუშაობა (აქამდე იგი მაღალ კლასებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას).

და აი, პირველი შედეგები უკვე სახეზეა. უკვე ალაპარაკდნენ ქართულად.

სულ ახლახან, ისინი ეთერ მასწავლებელმა ჩამოიყვანა და სვეტიცხოვლის ეზოში პატრიოტული პათოსით გაჟღენთილი მონტაჟი მოგვასმენინა ბავშვების მონაწილეობით (მანამდე თბილისშიც იყვნენ, მოსწავლეთა სახლში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურეს).

წკრიალებს **აიდა გარაევას, ზაქირ** და **ზამინ გამბაროვების, მირანდა ეიბოვას, კურბან აბაზოვის, ამინ ფეისოვის, შუშანა ბაირამოვას** და **საბინა გამბაროვას** ხმები, რომლებიც საამოდ ეფინება სვეტიცხოვლის ქონგურებს.

ეს ბავშვები იმ აზერბაიჯანელების ჩამომავალნი არიან, ვინც ქართველ კაცს ათქმევინა: „შენი ჭირიმე, თათარო, თუ ჩემი ძმა იქნებიო“. პატარა აზერბაიჯანელები ერთგულების ფიცს აძლევენ ქართულ ენას და საქართველოს, რომ სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგულნი იქნებიან.

„ამქვეყნად ვინ გიღალატოს,
სამშობლოს დღეო, ნათელო,
ოცდაცამეტმა გრიგალმა
ოცდაცამეტჯერ გათელოს!“

ეთერ სიმონიშვილის დამსახურება არა მხოლოდ ის არის, რომ აზერბაიჯანელებს ქართულ ენას ასწავლის, არამედ ისიც, რომ მან სკოლას აქამდე განზე გამდგარი და შორიდან მაყურებელი მშობლები შემოუკრიბა და შემოურიგა. ბევრი მათგანი შვილებთან ერთად იდგამს ქართულად ენას და მათი თქმით, ესეც დიდი მადლია.

გვესაუბრება სკოლის დირექტორი **აკბარ ველიევი**: *„აზერბაიჯანელებში დღითი-დღე იზრდება ქართულ გარემოსთან ინტეგრირების სურვილი. ჩვენ არც აქამდე ვაკლებდით საუბრებსა და პროპაგანდას, რომ ქართული ენის დაუფლების გარეშე შორს ვერ წავალთ, მაგრამ ქალბატონმან ეთერმა მაინც სასწაული მოახდინა – ბავშვების მშობლები დაარწმუნა ქართული ენის რიგიანი შესწავლის აუცილებლობაში და გვერდით დაიყენა კიდეც. ისინი, თქვენც ნახეთ, ძალდატანებით კი არა, სიყვარულით სწავლობენ ქართულ ენას და ეს მთელ პედაგოგიურ კოლექტივს ძალიან გვახარებს. დარწმუნებულნი ვართ, ოთხი წლის შემდეგ ეს ბავშვები უაქცენტოდ ისაუბრებენ ქართულად.*

გათიშვას და მტრობას ყოველთვის სჯობდა ერთობა და სიყვარული. ჩვენ ისტორიულად მეგობრები და მეზობლები ვიყავით და ასე უნდა ვიყოთ მუდამ, რათა საერთო მტერი ადვილად ვერ მოგვერიოს“.

თეა რუაძე

დაუვიწყარი დღეების ქრონიკა

რამდენიმე დღეა, რაც საფრანგეთიდან დაბრუნდა 124-ე საჯარო სკოლის ნანტთან გაცვლითი სასწავლო პროგრამის მონაწილეთა ჯგუფი.

დაარსების დღიდან სკოლაში წარმატებით ისწავლება ფრანგული ენა. 1996 წელს ქალაქ ნანტის მერის სტუმრობამ შთააგონა კოლექტივი, მონაწილეობა მიეღოთ საფრანგეთთან გაცვლით პროგრამაში. ოცნება რეალობად იქცა სკოლის დირექტორის, ქალბატონ **ელენე შაბურიშვილისა** და ფრანგი კოლეგების, წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ლიცეუმის პედაგოგების – **ფილიპ ლეგრანის, ჟან-მარკ პრიმას, გვენოლა ბრიანდისა** და **ნადინ ლეკორეს** ძალისხმევით.

ორ სასწავლებელს შორის გაცვლითი პროგრამა სათავეს იღებს ნანტისა და თბილისის დამეგობრებიდან. ნანტელ მეგობრებთან ერთად, გადავწყვიტეთ ჩვენი ურთიერთობა გაგვეღრმავებინა სასწავლო პროექტით, რომლის მიზანია: ორი ქვეყნის კულტურული ფასეულობების გაცნობა, ინოვაციების ურთიერთგაზიარება, ახალგაზრდების დამეგობრება. საფრანგეთის ელჩმა, ბატონმა **ერიკ ფურნიემ** დადებითად შეაფასა ჩვენი პროექტი. ის კმაყოფილია იმით, რომ პედაგოგები ფრანგულ ენასთან ერთად ასწავლიან საფრანგეთის ისტორიასა და კულტურას.

ფრანგმა პედაგოგებმა ყველაფერი გააკეთეს პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის. ყველაზე მთავარი იყო დაფინანსება. ბატონების – ჟან-მარკ პრიმას და ფილიპ ლეგრანის უდიდესი მონდომებითა და უშუალო ხელმძღვანელობით, პროექტის მონაწილე ფრანგმა მოსწავლეებმა და პედაგოგებმა საკუთარი შრომით მოიპოვეს ქართველი ბავშვების დასაფინანსებელი თანხა – არდადეგებზე ფიზიკურად შრომობდნენ და ფულს აგროვებდნენ, რათა ჩვენი ბავშვებისთვის საფრანგეთში ჩასვლის საშუალება მიეცათ.

შეირჩა საშუალო საფეხურის 11 მოსწავლე, რომელთა ოჯახებმაც ოქტომბერში ნანტელებს უმასპინძლეს. მათი ვიზიტი თბილისობის დღესასწაულს დაემთხვა. ფრანგები გაეცნენ ქართულ ტრადიციებს, კულტურასა და ხელოვნებას. დაათვალიერეს რეგიონებიც, მოინახულეს ეკლესია-მონასტრები, მუზეუმები, კულტურის ძეგლები. მთელი სამოქმედო გეგმა და კულტურული პროგრამის თითოეული დეტალი წინასწარ იყო გათვლილი. მხარეთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქალაქ ნანტის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ლიცეუმსა და 124-ე საჯარო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ელენე შაბურიშვილი, 124-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„რეფორმის შესაბამისად, სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა აღზარდოს თანამედროვე ღირებულებებით აღჭურვილი, განათლებული პიროვნება. ტრადიციებთან ერთად, ბავშვმა უნდა გაიაზროს ევროპული ფასეულობები. ამ პროექტის ფარგლებში, ჩვენმა მოსწავლეებმა გაიღრმავეს ფრანგული ენის ცოდნა, გაიფართოვეს თვალსაწიერი, ეზიარნენ ევროპულ კულტურას. რაც მთავარია, მათ პრაქტიკულად დაინახეს მრავალმხრივი ცოდნისა და უნარების შეძენის აუცილებლობა. შესაბამისად, ამაღლდა მათი მოტივაცია.*

თბილისში ყოფნისას ფრანგმა მეგობრებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, დაამზადეს ბუკლეტები და პლაკატები. ნანტში დაბრუნებულებმა ფართოდ გააშუქეს ვიზიტი, რაც ძალზე სასიამოვნო იყო ჩვენთვის. ფილმი ეხებოდა ცნობილი ადამიანების ცხოვრებას, სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ საკითხებს.

პროექტში მონაწილეობა მოსწავლეებს შემდგომ ორიენტაციაში დაეხმარება. ბევრი მათგანი სწავლის გაგრძელებას საფრანგეთში აპირებს. ამ პროექტის უდიდეს მიღწევად მიმაჩნია ის, რომ ჩვენი სკოლის მეთორმეტე კლასელი ***ზურა გოგინაშვილი****, ნანტის ლიცეუმის დირექტორის, ბატონ ჟან-პიერ პიკოს გადაწყვეტილებით, უფასოდ ისწავლის და იცხოვრებს ქალაქ ნანტში.*

საგანმანათლებლო პროექტი კიდევ ორ წელს გაგრძელდება. სექტემბრისთვის ნანტიდან ახალ დელეგაციას ველოდებით – თავად ლიცეუმის დირექტორის, ბატონი ჟან-პიერ პიკოს ხელმძღვანელობით.

პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს, ფრანგული ენის პედაგოგებს: ***მედეა ბარჯაძეს, მარინე მიქაძეს, ნონა ბეროშვილს, თინათინ კაპანაძეს.***

მათ დიდი შრომა გაწიეს ბავშვების მომზადებისთვის. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ჩვენი მოსწავლეები ასე ღირსეულად წარდგნენ ფრანგების წინაშე – თავი გამოიჩინეს როგორც ინტელექტუალურ, ისე კულტურულ ღონისძიებებში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მოხიბლეს ფრანგები. მეათეკლასელ მოსწავლეს, ***გვანცა გაგნიძეს*** *ახალი ედიტ პიაფი უწოდეს, მისი სიმღერების საუკეთესო შესრულებისათვის“.*

მედეა ბარჯაძე, ფრანგული ენის მასწავლებელი: *„ამ პროგრამამ დიდი როლი ითამაშა ფრანგული ენის პოპულარიზაციის საქმეში. შესანიშნავი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით საფრანგეთიდან. ბევრი რამ ვნახეთ მისაბაძი. ჩვენ ძალზე წაგვადგებოდა იმ თვისებების გამომუშავება, რამაც განაპირობა ფრანგების წინსვლა და განვითარება. ეს გახლავთ, უპირველეს ყოვლისა, კანონმორჩილება, საზოგადოებრივი წესრიგი, ურთიერთობის კულტურა, განათლება, ემოციების მართვისა და საკუთარი თავის ფლობის უნარი, სისტემურობა, მიზანსწრაფულობა, ამავე დროს, თავმდაბლობა, შემწყნარებლობა სხვისი აზრის მიმართ, პიროვნების პატივისცემა – ყოველივე ის, რასაც ევროპულ დონეს ვუწოდებთ.*

უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ევროპულმა გარემომ, ქვეყნის სიმშვენიერემ. ყოველი ქუჩა თუ შენობა ისეა მოვლილი, რომ ადამიანი განსაკუთრებულ ესთეტიკურ ტკბობას განიცდის, სულიერად მაღლდება და შემოქმედებითად აზროვნებას იწყებს.

მშვიდ, მყუდრო და, ამავე დროს, საქმიან გარემოში ჩატარდა კონფერენციები, გადავიღეთ ვიდეომასალა, ვიმუშავეთ რეპორტაჟებზე. საქართველოს გაცნობის მიზნით, ნანტში გაიმართა სპეციალური გამოფენა. გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს ნანტის მერიაში. ოფიციალური შეხვედრები გვქონდა ლიცეუმში. მოსწავლეები და პედაგოგები ვესწრებოდით ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს ენის სწავლების სრულყოფისათვის. შევხვდით, აგრეთვე, ნანტში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს. ნანტელმა მასპინძლებმა საკმაო ხარჯები გაიღეს ჩვენთვის. წარმოიდგინეთ, თუნდაც, პარიზში კულტურული პროგრამით სამი დღით ვიზიტი. დიდ მადლობას ვუხდი პროექტის ინიციატორებსა და ყველა მონაწილეს. პირადად მე, 28 წელია, ფრანგულს ვასწავლი და ამიხდა დიდი ხნის ნატვრა – ვნახე ჩემი ოცნების ქალაქი.“

თინიკო ხაჩიძე, IX კლასის მოსწავლე: *„ქვეყნიდან პირველად გავემგზავრე და ძალიან ვღელავდი, თუმცა ვიცოდი, იმ გზას მივუყვებოდი, რომელიც საფრანგეთსა და საქართველოს აკავშირებს და ვგრძნობდი, რომ ეს გზა მეგობრობისა და სიყვარულისკენ მიმავალი საოცნებო ბილიკი იყო. საფრანგეთი კარგი მასპინძელი აღმოჩნდა. ოჯახებში შვილებივით მიგვიღეს. მართალია, პარიზი მსოფლიოს ულამაზესი ქალაქია, მაგრამ ნანტი ჩვენს გულთან უფრო ახლოსაა, რადგან ნანტელებმა დაუვიწყარი დღეები გვაჩუქეს. მადლობა ყველაფრისთვის, პროექტის მესვეურებს ჩვენს ფრანგ და ქართველ პედაგოგებს.“*

მარინე მამარდაშვილი
124-ე საჯარო სკოლის
დირექტორის მოადგილე

ვარიაციები ფიზიკის ირგვლივ

გარდაბნის რაიონის სოფელი ლემშვანიერა ერთ-ერთი ქართული სოფელია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან. იგი 1988 წელს დაარსდა. ამ სოფლის სკოლაში 361 მოსწავლის აღზრდას მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი პედაგოგები ემსახურებიან. სკოლა აქტიურადაა ჩართული მოზარდთა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროცესში. ამაზე ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მოსწავლეების მიერ მიღწეული წარმატებებიც მეტყველებს. სკოლა აღჭურვილია ინფორმატიკის, რელიგიისა და ხელოვნების კლას-კაბინეტებით; ფუნქციონირებს ლიტერატურული სალონი „რიჰა"; ეთნოგრაფიული მუზეუმი; გამორჩეულია ძიუდოსა და კრივში მიღწეული წარმატებებით – ჰყავს საქართველოსა და ევროპის ჩემპიონები.

ეს რაც შეეხება, ზოგადად, სკოლას. ახლა ერთი საინტერესო გაკვეთილის შესახებ, რომელიც სკოლის დირექტორმა, ფიზიკის მასწავლებელმა **გულნაზ ჭელიძემ** XI კლასში ჩაატარა. „ვარიაციები ფიზიკის ირგვლივ" – ასე ერქვა გაკვეთილს. ეს იყო თეატრალიზებული კომპოზიცია, სადაც იუმორით, ლიტერატურით, მუსიკითა და ცეკვით გადმოსცეს მოსწავლეებმა ფიზიკური მოვლენები. **მარეხ კვანჭიანი**, და-ძმა **სოფო და გიორგი კაკრიაშვილები**, **დავით ღვაჩლიანი**, **სალომე ნიჟარაძე**, **რუსლან იოსელიანი**, **სოფო ღვიბლიანი** და სხვები ოსტატურად ასრულებდნენ სხვადასხვა ფიზიკური სიდიდეების როლებს და მოკლე იუმორისტული სიუჟეტებით ხსნიდნენ ფიზიკურ კანონებს. მათ მართლაც შეძლეს ფიზიკური ლინზით (მათი სიტყვებია) დაენახვებინათ მაყურებლისთვის ამ მეცნიერების ლირიკულობა, იუმორისტულობა, მუსიკალობა და სხვა დარგებთან ნათესაობა.

მაყურებელი კი საკმაოდ ბევრი ჰყავდათ – სკოლის პედაგოგები, მშობლები, რესურსცენტრის ხელმძღვანელი **მარიამ გარაშვილი**, თანამშრომლები და ფიზიკის სახელმძღვანელოს ავტორი **ეთერ ბასიაშვილი**, რომელმაც გაკვეთილის დასასრულ გაოცებით აღნიშნა – ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ მთელი ფიზიკის გადმოცემა, ნახევარ საათში, ასეთი ფორმით შეიძლებოდაო.

„ათი წელია, სკოლის დირექტორი ვარ. მასწავლებლობა მომენატრა. სულ ექვსი საათი მაქვს. განათლების რეფორმამ გასაქანი მისცა შემოქმედ მასწავლებელს. მეც ვისარგებლე და გაკვეთილის ეს ფორმა შევთავაზე მოსწავლეებს. მოეწონათ, ამიტომ მუშაობაც არ გაგვჭირვებია. თუ გაკვეთილის დამსწრეთა შეფასებებს დავუჯერებთ, მოსწავლეებმა წარმატებით გაართვეს თავი დასახულ ამოცანას და ქებაც დაიმსახურეს " – აღნიშნა ქალბატონმა გულნაზიმ.

ნინო საყვარელიძე

ფოლკლორის წრით დაწყებული ისტორია

პირველ საჯარო სკოლაში ანსამბლ „ბინულის" ბენეფისი შედგა. ფოლკლორული წრე სულ რაღაც სამი წლის წინ ქართული სიმღერითა და გალობით დაინტერესებულ მოსწავლეთა მცირე ჯგუფს აერთიანებდა. ანსამბლის სახე კი ჯგუფმა გასული წლის ზაფხულში მიიღო. სიმღერისა და გალობის წრის ფუნქციონირება სკოლაში იღბლიანი აღმოჩნდა, რადგანაც მაშინდელმა სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელმა, **რომან კუსიანმა** სკოლის დირექცია **გიორგი უშიკიშვილთან** დაუკავშირა. ფოლკლორის წრით დაწყებული ისტორია „ბინულით"დაგვირგვინდა.

ლელა წიქარიშვილი, სკოლის დირექტორი:

„მოხარული ვარ, რომ დღეს ჩვენი სკოლის სცენაზე წარდგა ანსამბლი თავის ნაღვაწით. ბატონმა რომან კუსიანმა დაგვაკავშირა და გაგვაცნო ბატონი გიორგი უშიკიშვილი, მას ჩვენი იდეის შესახებ ვუამბეთ. რეკომენდაცია პაატა მელაძეს გაუწია და როგორც ცნობილია, ის დღეს ჩვენი სკოლის კოლექტივის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ძალიან საყვარელი წევრია. თუმცა, საკმაოდ მომთხოვნია, როგორც ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი. მან მხოლოდ დღეს, ამდენი შრომის შემდეგ, წარმოადგინა პირველი კონცერტი, ანსამბლის ნაშრომნაღვაწი.

სკოლაში ფოლკლორული ჯგუფის საქმიანობა მოგვიანებით გადაიზარდა ანსამბლის იდეაში, ძალიან მნიშვნელოვანი იყო სტიმული, რომელიც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და კულტურის სამინისტროს მხრიდან გამოჩნდა. დღეს ანსამბლი მათ მიერ კოსტიუმირებულია, ასევე რამდენიმე ინსტრუმენტი გადასცეს საჩუქრად, ეს ყველაფერი კი წამახალისებელია. იმედია, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისაგან მათ მეტი მხარდაჭერა ექნებათ. რადგან სამხატვრო ხელმძღვანელისა და ბავშვების დამოკიდებულება ძალიან სერიოზული იყო ამ საქმისადმი, გადავწყვიტეთ ანსამბლისთვის ინდივიდუალური სახე მიგვეცა და სახელიც შევურჩიეთ – „ბინული". ვფიქრობთ, ჩვენი ანსამბლი ამართლებს სახელს – ანკარა წყარო – და იმედია, მომავალშიც დარჩება ამ სახელწოდების შესატყვისი. მინდა წარმატება ვუსურვო ანსამბლის ხელმძღვანელს, გარდა იმისა, რომ მოსწავლეებს ქართულ სიმღერას ასწავლის, ძალიან კარგ გავლენას ახდენს ბავშვებზე, რამდენადაც ცნობილია, მათი უფროსი მეგობარია."

ნელ-ნელა გაზრდილი ფოლკლორული ჯგუფი დღეს უკვე 40 მოსწავლეს აერთიანებს სხვადასხვა კლასებიდან. მათი რეპერტუარიც ნელ-ნელა გაიზარდა და როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა **პაატა მელაძემ** გვითხრა, უფრო და უფრო რთულდება კიდეც. *„ამ შემადგენლობასთან უკვე სამი წელია ვმუშაობ. მათი შეფასება მიჭირს, რადგანაც თავისთავად, ყველა ბავშვი კარგია. დაახლოებით ისეთები არიან, როგორებიც ჩვენ ვიყავით, ან უფრო კარგები. რაც მთავარია, მათ მოსწონთ ეს საქმე. გამორჩეული სიმღერა, თითქოს, არ აქვთ, რადგან ყველას დიდი სიყვარულით ეკიდებიან. გარდა იმისა, რომ ვასწავლი სიმღერას, ვცდილობ, მათივე ინტერესიდან გამომდინარე, მოვასმენინო ჩანაწერები, ხშირად აქ მომაქვს, ან თუნდაც მივუთითებ ხოლმე, სად შეიძლება მოისმინონ. „გეორგიკას" წევრები ხშირად დამყავდა ექსპედიციებში და ცოცხლად ვასმენინებდი ქართულ ფოლკლორს, ესენი ჯერ პატარები არიან. ალბათ, გარკვეული დროის შემდეგ „ბინულთან" ერთადაც მოვაწყობ ექსპედიციებს."*

„ბინულის" რეპერტუარი მართლაც საინტერესო აღმოჩნდა. რაც მთავარია, პატარა შემსრულებლები პროფესიონალურად მღეროდნენ, უკრავდნენ მუსიკალურ საკრავებზე, რომლის შესწავლაშიც უფროსი კოლეგები დაეხმარნენ და ცეკვავდნენ. „გეორგიკას" ბიჭებმა ფანდურზე დაკვრა ასწავლეს და მათ პირველ კონცერტზეც გამოვიდნენ. ყურადღება მიიპყრო მათ მიერ შესრულებულმა და თურმე რეპერტუარიდან ყველაზე საყვარელმა აფხაზურმა სიმღერამაც. „აღდგომასა შენსა", „მრავალჟამიერი", „ფერხული", „ცანგალა" და სხვ. ქართული ხალხური სიმღერები აფხაზურმა ხალხურმა სიმღერამ ჩაანაცვლა. მშვენიერი დასაწყისი „ბინულელებს" **გიორგი უშიკიშვილმა** მიულოცა:

„ძალიან მნიშვნელოვანია სკოლაში ასეთი წამოწყება. ისიც ვიფიქრე, პატარა ეთნოგრაფიული ანსამბლის ჩამოყალიბებას აპირებენ, რაც ძალიან მახარებს. ბუნებრივია, სკოლაში ქართული სიმღერის შესწავლას უდიდესი დატვირთვა აქვს, ამ სიმღერაში ხომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაცაა ჩადებული და კიდევ ბევრი რამ. რადგან სკოლა კარგი ქართველების აღზრდასა და ჩამოყალიბებას ემსახურება, ბუნებრივია, სიმღერის სწავლა ამას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. ულრმესი მადლობა ქალბატონ ლელას, რომ გვერდში დაუდგა ანსამბლს, ვიცი, რომ არა ის, ბევრი რამ არ იქნებოდა დღევანდელი სახით. რაც შეეხება პაატას, მართლაც ნიჭიერი ახალგაზრდა კაცია, დასაფასებელია ის შრომა, რაც მან გასწია. რთულია, დაიწყო ნულიდან და მიხვიდე რაღაც შედეგამდე, მით უფრო, როცა საქმე ქართულ სიმღერასთან გაქვს, კიდევ უფრო რთულია, როცა არ კარგავ სინთეზურობას და ინარჩუნებ ცეკვისა და სიმღერის ერთიანობას. ეს, თავისთავად, მისასალმებელია. სწორედ ქორეოგრაფიული ელემენტების შემოტანამ მაფიქრებინა, რომ ისინი ეთნოგრაფიული ანსამბლისკენ მიილტვიან.

გვქონდა გარკვეული ტიპის ინიციატივა, არაოფიციალური საუბრები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რომ სკოლებში შევიტანოთ ფოლკლორის ელემენტები. ამ კუთხით, ვფიქრობ, სასურველია კლასგარეშე მუშაობა. სავალდებულო საგნად, ბუნებრივია, ეს ვერ ჩამოყალიბდება, რადგან ქართული სიმღერის შესწავლას მაინც განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება, მაგრამ თუკი სავალდებულო არ იქნება, მაშინ კარგია, თუ სკოლებში კლასგარეშედ ასწავლონ ქართული სიმღერა. რაც მთავარია თუ ეს უფასოდ მოხდება ამით უმნიშვნელოვანეს საქმეს გავაკეთებთ. მერწმუნეთ, ქართული სიმღერის შესწავლით ხელს შევუწყობთ მოსწავლეებში ქართული სულის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, მათ სამშობლოს სიყვარულს ჩავუნერგავთ. შესაძლოა, სიმღერა მათ მომავალ პროფესიადაც ვაქციოთ, ან თუნდაც უბრალოდ, სიმღერის შესწავლაში დავეხმაროთ – ძალიან მომხიბვლელია, როცა ქართველი ვაჟი ან ქალი მღერის.

მოხარული ვარ, პირველ სკოლაში ასეთი პრეცედენტი შედგა. მათ ჩვენს ცენტრს მომართეს დახმარებისთვის. მაქსიმალურად შევეცადეთ, ხელი შეგვეწყო ასეთი წამოწყებისთვის. ქალბატონმა ლელამაც აღნიშნა, რომ ჩვენი დახმარებით ანსამბლი ფორმებით შეიმოსა, ასევე, რამდენიმე საკრავი ინსტრუმენტით აღიჭურვა. ძალიან კარგი იქნება, თუკი დანარჩენი სკოლებიც მიბაძავენ მათ. ბუნებრივია, ჩვენ კონსულტაციებს არ დავიშურებთ. ამისთვის მზად ვართ. გარდა ამისა, შევთავაზეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გავაკეთოთ ქართული სიმღერისა და ცეკვის სასკოლო ოლიმპიადები, საქართველოს მასშტაბით. ეს იდეა მოეწონათ და მიმდინარეობს მოლაპარაკება. იმედია, ამის განხორციელებას ერთობლივად შევძლებთ.

და კიდევ, დღეს სცენაზე გაიჟღერა აფხაზურმა სიმღერამ. დარწმუნებული ვარ, მათმა თანატოლებმა აფხაზეთში ნაკლებად იციან თავიანთი ფოლკლორი, რადგანაც რუსული ესტრადით არიან გატაცებულნი. ძალიან მიხარია, რომ დღეს ჩვენთან კახურის, გურულის და სვანურის გვერდით წარმატებით ასრულებენ აფხაზურ ხალხურ სიმღერებსაც. დიდი მადლობა ამისთვის მათ. რაც მთავარია, ყველაზე მეტად სასიხარულოა ის, რომ ამის შესრულება სიამოვნებთ. იმედია, ასე გააგრძელებენ."

სიმღერისა და გალობის ანსამბლის წევრებს სკოლის დირექტორმა სიგელები გადასცა.

რა არის მათთვის „ბინული" – ამ კითხვას ანსამბლის სამმა წევრმა ასე უპასუხა:

ვასიკო პარკაია: *„ძალიან მიყვარს ქართული ხალხური სიმღერა, ეს ანსამბლი სწორედ ამ სიყვარულის გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა. განსაკუთრებული სიამოვნებით ვმღერი „უტუს ლაშქრულს".*

გიორგი ხუფენია: *„3 წელია, აქ ვმღერი. სამბოზეც დავდივარ, მაგრამ ეს ყველაზე საყვარელი საქმეა. ჩვენი ხელმძღვანელი ცოტა მკაცრია, მაგრამ მაინც ძალიან კარგად ვეწყობით, მოგვწონს ხალხური სიმღერა და გვიყვარს ჩვენი ანსამბლი. "*

ნიკა სირაძე: *„ბუნებრივია, ანსამბლში სიმღერის სიყვარულმა მიგვიყვანა. საშუალება მოგვეცა, არაჩვეულებრივმა მასწავლებელმა გვასწავლოს ხალხური სიმღერა. ეს არის ადგილი, სადაც ჩემთვის ყველაზე სასიამოვნო საქმეს ვაკეთებ."*

სასიამოვნო სიმღერის გარდა ანსამბლის წევრები ასევე სასიამოვნო რესპონდენტებიც აღმოჩნდნენ. „ბინულით" დაწყებული გზა, ვინ იცის, კიდევ არაერთხელ შეგვახვედრებს მათთან.

ლალი ჯელაძე

სპორტი

ტრადიცია გრძელდება

თბილისის 57-ე საჯარო სკოლის ინიციატივით (დირექტორი – **სოსო ხუციშვილი**, სპორტისა და ესთეტიკის კათედრის ხელმძღვანელი – **ვახტანგ ბაქანიძე**), ტრადიციად იქცა ცნობილი ფეხბურთელების, მსაჯების, სპორტული კომენტატორების, საზოგადო მოღვაწეების, მწერლებისა და ცნობილი გულშემატკივრების სახელობის ტურნირები მინი-ფეხბურთში.

13 მაისს, 57-ე საჯარო სკოლაში, გიორგი ბაქანიძის ხსოვნის ტურნირი ჩატარდა. ბატონი გიორგი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი (ყოფილ საბჭოთა კავშირში დასახელდა ნომერ პირველ მსაჯად და ოქროს სასტვენი გადაეცა), საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის, ხელბურთის და ჩოგბურთის კათედრის გამგე.

გიორგი ბაქანიძის ხსოვნის ტურნირზე მონაწილეობის სურვილი ბევრმა საჯარო თუ კერძო სკოლამ გამოთქვა. უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სკოლები მეტ ინიციატივას იჩენენ და უფრო აქტიურები არიან, კერძო სკოლები – ნაკლებად. ალბათ იმიტომ, რომ სწავლის პროცესი კერძო სკოლებში გვიანობამდე მიმდინარეობს, გაკვეთილების შემდეგ კი მოსწავლეები სხვადასხვა წრეებში არიან დაკავებული. ბატონი ვახტანგ ბაქანიძე არ იშურებს ძალისხმევას მოზარდების მოსაზიდად. კავშირი აქვს კერძო სკოლების დირექტორებთან და ყველა ტურნირზე სთავაზობს მონაწილეობას.

საფეხბურთო ტურნირებში ხშირად მონაწილეობენ: სკოლა-ლიცეუმი „მოძღვარი“ (დირექტორი – **ხათუნა კერესელიძე**); სენტ ეგზიუპერის კოლეჯი (დირექტორი – **იზა ჯინჯიხაძე**) და უკრაინული სკოლა (დირექტორი – **ანა მატვეევა**). აღსანიშნავია, რომ ვერის ნაკრები (მწვრთნელი – **ოთარ ნათაძე**) ცალკე გუნდად მონაწილეობს ხოლმე.

გიორგი ბაქანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე ორ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

II-III კლასი – 2001-2002 წწ/დ.

I ადგილი – 57-ე საჯარო სკოლა;

II ადგილი – სენტ ეგზიუპერის კოლეჯი;

III ადგილი – „მოძღვარი“.

IV-V კლასი – 2000-1999 წწ/დ

I ადგილი – 57-ე საჯარო სკოლის ნაკრები „ნორჩი დინამო“;

II ადგილი – სენტ ეგზიუპერის კოლეჯი;

III ადგილი – უკრაინული სკოლა.

დასახელდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები და მათ პრიზები, სიგელები და გარდამავალი თასი გადაეცათ.

ტურნირის გამარჯვებულები არიან: **დათო ლორთქიფანიძე, ილია ისაკაძე, მარლენ შენგელია, მიხეილ თაბაგარი, სანდრო ჩავლეიშვილი, თემურ გოგლიძე, ჯიმშერ გოგლიძე, ნიკა ძებნიაური, ზურა ხეთაგური, აკაკი კოკაია, გიორგი ჭრელაშვილი, ანდრო ადეიშვილი, გურამ გელოვანი, ლუკა ხარძიანი, ლუკა ღირდალაძე, არტიომ მარტიროსიანი.**

გამარჯვებულ გუნდს თასი გადასცეს გიორგი ბაქანიძის ვაჟმა, **კოკა ბაქანიძემ** და შვილიშვილმა **მარიამ ნაცვლიშვილმა**.

მოზარდთა საქართველოს ჩემპიონატი

კვირას ასკ-ს დარბაზმა საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა კარატეში მოზარდთა შორის. შეჯიბრება VKF-ის წესებით ჩატარდა და მასში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის ბავშვები მონაწილეობდნენ. ზოგიერთ ასაკში მონაწილეთა რაოდენობა ბევრი არ იყო, რასაც მთლიანად ტურნირზე ვერ ვიტყვით და შეჯიბრებაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ეროვნულმა პირველობამ მოზარდებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი კიდევ ერთხელ მისცა და არც მათ დაუზოგავთ თავი.

ტექნიკური შედეგები:

კატა

ვაჟები: 6-7 წელი. 1. **საბა ცაავა** (ფოთი, შოტოკანი); 2. **ლუკა ბერაძე** (თბილისი, ვადო-რიუ);

8-9 წელი. 1. **რამაზ ბენდელიანი** (თბილისი, შოტოკანი); 2. **გიორგი როდონაია** (თბილისი, შოტოკანი); 3. **დავით ძაბირაძე** (თბილისი, ვადო-რიუ);

10-11 წელი. 1. **გურამ ჯიჯელავა** (ფოთი, შოტოკანი); 2. **ნიკა ბელიავსკი** (თბილისი, შოტოკაი); 3. **თორნიკე იმერლიშვილი, ანრი ბიწკინაშვილი** (თბილისი, შოტოკანი).

12-13 წელი. 1. **გიორგი კუცია** (თბილისი, შოტოკანი); 2. **ანრი მარგველაშვილი** (ქუთაისი, შოტოკანი); 3. **თენგიზ ქუთათელაძე** (ქუთაისი, შოტოკანი), **ირაკლი ნადირაძე** (თბილისი, შიტო-რიუ);

გოგოები: 8-9 წელი. 1. **ანა დარჩიაშვილი** (თბილისი, შოტოკაი); 2. **ვერიკო ლომაია** (ფოთი, შოტოკანი);

10-11 წელი. 1. **თამუნა თურმანიძე** (თბილისი, შოტოკანი); 2. **ანა ჯაკობია** (ფოთი, შოტოკანი).

კუმიტე

გოგოები: 6-7 წელი. აბსოლუტური. 1. **თამუნა ქათამაძე** (ზესტაფონი, ვადო-რიუ);

8-9 წელი. აბსოლუტური. 1. **ვერიკო ლომაია** (ფოთი, შოტოკანი); 2. **ნინო ჯიგანია** (თბილისი, შოტოკანი); 3. **თინათინ ქათამაძე, თამუნა ქათამაძე** (ზესტაფონი, ვადო-რიუ);

10-11 წელი. აბსოლუტური. 1. **თამუნა თურმანიძე** (თბილისი, შოტოკანი); 2. **ანა ჯაკობია** (ფოთი, შოტოკანი);

12-13 წელი. აბსოლუტური. 1. **თამარ ცეცხლაძე** (ლანჩხუთი, შოტოკანი); 2. **მარი ლავრელაშვილი** (თბილისი, შოტოკანი); 3. **ოლია ჭუმბურიძე** (ზესტაფონი, ვადო-რიუ).

კუმიტე.

ვაჟები: 6-7 წელი. -23 კგ. 1. **საბა ცაავა** (ფოთი, შოტოკანი); 2. **მურად ქირია** (ფოთი, შოტოკანი); 3. **თემურ სირაძე** (ფოთი, შოტოკანი), **დავით აბრამიშვილი** (ზესტაფონი, ვადო-რიუ);

+23 კგ. 1. **გიორგი ჩხეიძე** (ფოთი, შოტოკანი); 2. **ონისე ცინცაძე** (ლანჩხუთი, შოტოკანი); 3. **მიტუშა ჯალაღონია** (ჩხოროწყუ, შოტოკანი), **ლუკა ბერაძე** (თბილისი, ვადო-რიუ);

8-9 წელი. -28 კგ. 1. **ალეკო მამულაშვილი** (თბილისი, აიკოდო); 2. **გიორგი აბაშიძე** (თბილისი, შიტო-კაი); 3. **ზვიად ოდიკაძე, ტატო სამხარაძე** (ზესტაფონი, ვადო-რიუ).

35 კგ. 1. **გიორგი თურქაძე** (ზესტაფონი, ვადო-რიუ); 2. **ლუკა ალანია** (ფოთი, შოტოკანი); 3. **თემურ კუპატაძე** ზესტაფონი, ვადო-რიუ), **გიორგი როდონაია** (თბილისი, შოტოკანი);

+35 კგ. 1. **გიორგი ლომიძე** (ზესტაფონი, ვადო-რიუ); 2. **რამაზ ბენდელიანი** (თბილისი, შოტოკანი); 3. **ლევან ბროლაძე** (თბილისი, შოტოკანი), **ირაკლი მაცაბერიძე** (თბილისი, შიტო-რიუ);

10-11 წელი. 35 კგ. 1. **ანრი ბიწკინაშვილი** (თბილისი, შოტოკანი); 2. **გურამ ჯიჯელავა** (ფოთი, შოტოკანი); 3. **ხვიჩა თათრიაშვილი** (თბილისი, შიტო-კაი), **დავით წილოსანი** (ლანჩხუთი, შოტოკანი);

42 კგ. 1. **ლუკა ჯანჯღავა** (თბილისი, შოტოკანი); 2. **სანდრო ღამბაშიძე** (თბილისი, ვადო-რიუ); 3. **დავით გამსახურდია** (თბილისი, შოტოკაი), **ოთარ ანთაძე** (თბილისი, შოტოკანი);

50 კგ. 1. **თენგიზ მღებრიშვილი** (თბილისი, შოტოკანი); 2. **ჯაბა ბოჭორიშვილი** (თბილისი, შოტოკანი);

+50 კგ. 1. **დავით მაღლაკელიძე** (თბილისი, შიტო-კაი); 2. **ოთარ ლიპარტია** (თბილისი, შოტოკანი);

12-13 წელი. 45 კგ. 1. **აკაკი ქარსელაძე** (ქუთაისი, შოტოკანი); 2. **ნიკა ჭანტურია** (თბილისი, აიკოდო); 3. **დიმიტრი ყანჩაველი** (თბილისი, შოტოკანი), **გოგა კორტავა** (ფოთი, შოტოკანი);

50 კგ. 1. **ქველიძე შოთა** (ზესტაფონი, ვადო-რიუ); 2. **ლევან რურუა** (თბილისი, ვადო-რიუ); 3. **გოგა ჩოკორაია** (ჩხოროწყუ, შოტოკანი), **თორნიკე ცინცაძე** (ლანჩხუთი, შოტოკანი);

56 კგ. 1. **ნიკა ჩხაიძე** (ლანჩხუთი, შოტოკანი); 2. **ლადო გოგრიჭიანი** (ქუთაისი, შოტოკანი); 3. **ნიკა ინოზემცევი** (ქუთაისი, ვადო-რიუ), **ალექსანდრე ჩხიკვიშვილი** (თბილისი, შოტოკანი);

63 კგ. 1. **ანრი მარგველაშვილი** (ქუთაისი, შოტოკანი); 2. **არტურ ბარსეგიანი** (თბილისი, ვადო-რიუ);

+63 კგ. 1. **ედუარდ ალექსანიანი** (თბილისი, აიკოდო); 2. **გიორგი გაბუნია** (ქუთაისი, შოტოკანი); 3. **ზურაბ საკანდელიძე** (ქუთაისი, შოტოკანი), **გიორგი კვეტენაძე** (ზესტაფონი, ვადო-რიუ).

სტუ პირველია

ამ უქმეებზე „უნივერსიადა-2010“ დაიწყო - ასკ-ს დარბაზში კარატისტთა პირველობა ჩატარდა. მასში საქართველოს 10 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები გამოდიოდნენ. გუნდურ ჩათვლაში 4 ოქროთი და 2 ვერცხლით სტუ-მ გაიმარჯვა, 2 ოქროთი და 1 ვერცხლით მეორეზე თსუ გავიდა, მესამეზე კი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ნაკრებია. მედალოსანთაგან გამოვარჩევთ სტუ-ელ **დიანა დარჩიაშვილს**, რომელმაც ორი ოქრო ირგუნა – კატაშიც გაიმარჯვა და კუმიტეშიც მოიგო აბსოლუტური პირველობა. ანალოგიურ შედეგამდე ცოტა დააკლდა მეორე სტუ-ელს – **ზვიად არაბულს**, რომელმაც კატაში კი გაიმარჯვა, მაგრამ კუმიტეში თავის წონით კატეგორიაში მეორეზე გავიდა. ასევე ორი მედალი მოიპოვა, ოღონდ ორივე ვერცხლის, ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა **ედემი ბერიშვილმა;** თსუ-ელმა **ზურაბ იაკობაშვილმა** კი – ოქრო და ბრინჯაო ირგუნა. ორი ბრინჯაოს მედალი მოინადავლა საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტმა **თეონა ახალაიამ**.

კატა

გოგოები:1. **დიანა დარჩიაშვილი** (სტუ); 2. **თამარ მახარაძე** (საქართველოს უნივერსიტეტი); 3. **თეონა ახალაია** (თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი).

ვაჟები: 1. **ზვიად არაბული** (სტუ); 2. **ედემი ბერიშვილი** (ზაზა ფანასკერტელის სამედიცინო უნივერსიტეტი); 3. **ზურაბ იაკობაშვილი** (თსუ) და **ბექა დათვაძე** (ილიას უნივერსიტეტი);

კუმიტე

გოგოები: აბსოლუტური. 1. **დიანა დარჩიაშვილი** (სტუ); **ნანა დარასელია** (აგრარული უნივერსიტეტი); 3. **თეონა ახალაია** (თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი);

ვაჟები: 60 კგ. 1. **დავით ტყეებუჩავა** (თსუ); 2. **გიორგი თაბაგარი** (სტუ); 3. **გიორგი აივაზაშვილი** (თბლისის საერთაშორისო უნივერსიტეტი) და **ზვიად კუცია** (ნიკო ნიკოლაძის სახელობის უნივერსიტეტი);

67 კგ. 1. **ზურაბ იაკობაშვილი** (თსუ); 2. **სოლომონ საყვარელიძე** (აგრარული უნივერსიტეტი); 3. **თორნიკე მანაგაძე, გიორგი პეტრიაშვილი** (ილიას უნივერსიტეტი);

75 კგ. 1. **ჰენრი ვეკუა** (აგრარული უნივერსიტეტი); 2. **ედემი ბერიშვილი** (ზაზა ფანასკერტელის სამედიცინო უნივერსიტეტი); 3. **ჯაბა ბერაძე** (ილიას უნივერსიტეტი), **ვახტანგ ლაჭყებიანი** (აგრარული უნივერსიტეტი);

84 კგ. 1. **გიორგი მსხვილიძე** (სტუ); 2. **ზვიად არაბული** (სტუ); 3. **გიორგი ელიზბარაშვილი** (ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი), **გიორგი ლიპარტელიანი** (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი).

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტებია: საქართველოს ბანკი ბ/კ 220101502, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.